საერთო გაზეთი

№41 (452) • 8 ნოემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

სწორედ უამრავი დანაშაულის ჩამდენ ყოფილ მაღალჩინოსნებს სურთ შსს დისკრედიტაცია და ანარქიის შექმნა, რომ მოსახლეობას „ნაცმოძრაობის“ მიერ „გარანტირებული წესრიგი“ მოანატრონ

„საქართველოს მატიანე“ - აი, ეს არის საქართველო! შემოგვხედეთ და გაოცდით! შემოგვხედეთ და პატივი გვეცით!

ჩვენ „მოქანავე“ ერი ვართ – საკუთარი ნებით ვაქანავებთ სასქესო ორგანოს და სხვა ადგილსაც და ამაში დასავლეთს ნუ ვადანაშაულებთ

საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას

ალი ბაბაევი: საქართველოს, როგორც კავკასიის ცენტრს, დიდი ეკონომიკური მომავალი აქვს!

30 წლის წინათ ამერიკაში და 30 წლის შემდეგ – საქართველოში

„ნადირობა კუდიანებზე“, „პუჩდემონის ცირკი“ და ახალი ტერაქტების სერია

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე ოჯახებისთვის

ჯანსულ ჩარკვიანი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა XX საუკუნის დიდ სამოციანელთა გუნდის ერთ-ერთი უპირობო ლიდერი, გუნდისა, რომელმაც ახალი ფერებით, ახალი წახნაგებით გაამდიდრა ათასექვსასწლოვანი ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, განვითარებისა და წინსვლის ახალი გზები და ორიენტირები დაუსახა და ათწლეულების განმავლობაში მედროშედ, მებაირახტრედ მოევლინა თანამოკალმეებს... ჯანსულ ჩარკვიანი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მუდამ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა და ხმალამოღებული იცავდა იმ ტრადიციებს, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა მისი საესავი სამშობლო...

ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1931 წლის 30 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში.

1951 წელს, თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ჯანსულ ჩარკვიანი, ეს ჭეშმარიტი ერისკაცი და სრულიად საქართველოს მეცხოვნე, დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა; სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ კორექტორად, ლიტმუშაკად, პასუხისმგებელ მდივნად, თორმეტი წელი კი „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი იყო. ამავე დროს მუშაობდა ჟურნალების „დილისა“ და „დროშის“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად. როგორ შეიძლება, სიამაყის გრძნობით არ აღინიშნოს, რომ მისი რედაქტორობის ჟამს ჟურნალი „ცისკარი“ ქართული სულიერების ოაზისად იქცა. ბოლო წლებში ჯანსულ ჩარკვიანი მისსავე დაარსებულ გაზეთ „ქართულ სიტყვას“ ხელმღვანელობდა და იქაც ქართულ სიტყვას, ქართულ სულიერებას ემსახურებოდა.

ჯანსულ ჩარკვიანი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატად, გამსახკომის კოლეგიის წევრად, ჟურნალების „მნათობისა“ და „ნიანგის“ რედკოლეგიების წევრად, მსოფლიოს პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრის დამფუძნებლად და პირველ პრეზიდენტად, საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტად... ყველგან, სადაც კი იღვაწა ჯანსულ ჩარკვიანმა, თავისი კვალი დაამჩნია, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, ჭეშმარიტად კაცთმოყვარე პიროვნებამ და მოქალაქემ...

ჯანსულ ჩარკვიანის სამწერლო დებიუტი 1951 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ალმანახ „პირველ სხივში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნა. ამ ლექსებმა ყველას დაანახა, რომ მაშინდელ ქართულ პოეზიას მოევლინა დიდად ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც საქართველოს უერთგულეს, უებრო სამსახურს მთელი სიცოცხლე უძღვნა ზვარაკად.

და რა გასაკვირია, თუ ჯანსულ ჩარკვიანის ვაჟკაცური, ომახიანი და, ამავე დროს, უნაზესი ლირიზმით გამსჭვალული პოეზია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა სინათლისა და სისადავისთვის, ლირიკული ელვარებისთვის, ფრაზის სინატიფისთვის, მუსიკალობისთვის, ფერადოვნებისთვის...

ჯანსულ ჩარკვიანი დიახაც რომ პოეტი — ტრიბუნი იყო და თავისი ხაფი ხმით მუდმივად აფხიზლებდა თანამოძმეთ, მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და ქართველობას თავისი არსებობით შეახსენებდა, რომ ნებისმიერი ტირანიის, დიქტატურის თუ ავტოკრატიის პირობებშიც კი თავისუფლებისაკენ, თავისთავადობისაკენ, ქედუხრელობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ქართველი კაცის ხასიათის, ზნეობის ლიბოს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც.

მისი პოეზია მუსიკალობით გამოირჩეოდა და ამიტომაც მის ლექსებზე არაერთი დიდებული სიმღერა შეიქმნა. მათ უმრავლესობას ბატონი ჯანსულის დიდადნიჭიერი ვაჟიშვილი მამუკა ქმნიდა და თავად ასრულებდა ისე შთამბეჭდავად, რომ ის ღვთაებრივი ჰანგები მტლედ და სალბუნად ედებოდა ჩვენს სულსა და გულს.

ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიას ორგანულად ერწყმოდა მისივე მებრძოლი პუბლიცისტიკა, პროზაული ნაწარმოებები, ჯანსულისეული ვაჟკაცობისა და შემართების დასტური.

ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ინგლისელი და გერმანელი, ფრანგი და იტალიელი, პოლონელი და რუსი, ჩეხი და სერბი, ხორვატი და ბულგარელი, უკრაინელი და სომეხი, იაპონელი და აზერბაიჯანელი, ესპანელი და უნგრელი მკითხველები...

მშობელი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ ჯანსულ ჩარკვიანის პატრიოტიზმი არასოდეს გადაზრდილა შოვინიზმში, სხვა ერთა სიძულვილში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, თუ რა დიდი სიყვარულით თარგმნა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას, ივან დრაჩისა და ვიტალი კოროტიჩის, ალექსანდრ პუშკინისა და ბორის პასტერნაკის, ბელა ახმადულინასა და ევგენი ევტუშენკოს, ჰაინრიჰ ჰაინესა და ეუჯენიო მონტალეს, ბულატ ოკუჯავასა და სილვა კაპუტიკიანის, ოვანეს თუმანიანისა და ნარიმან ჰასან-ზადეს ლექსები...

ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, სრულიად სომეხთა პრემია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება. ქართული პოეზიის რაინდი გახლდათ და ღირსეულად ატარებდა ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენებს. არჩეული იყო თბილისის, მცხეთის, სოხუმის და ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

ჯანსულ ჩარკვიანი უყვარდათ კოლეგებს, მკითხველებს, მის მშობელ ერს, უყვარდათ იმიტომ, რომ მტკიცე და შეუვალი იყო მისი რწმენის კედელი, რომლის დუღაბიც საქართველოს უპირველეს შვილთა სისხლით იყო განსპეტაკებული. ამ რწმენის კედელს ბატონი ჯანსული მთელი ცხოვრების განმავლობაში აგებდა და ახალი ქონგურებით ამაგრებდა...

წავიდა ჩვენგან ეს დიდებული პოეტი, პიროვნება, ერისკაცი და თან ჩვენი — მისი თანამოკალმეებისა და თაყვანისმცემლების, ქართველი ხალხის დაუმადლებელი ცრემლი გაიყოლა, ის პატიოსანი ცრემლი, ხშირად კათარზისის მაუწყებელი რომ არის ხოლმე...

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბაღათერ არაბული

ჯანსულ ჩარკვიანი

...არ გიძებნია ცხოვრება მშვიდი,
შენ სხვანაირი არ გწამდა ბედი;
თუ რამეს წერდი, თუ რამეს შლიდი
მამულისათვის შლიდი და წერდი...

მხრებზე გეკიდა სიზიფეს ლოდი
და ეკლის გზებზე შემდგარი ოდით,
შენი ბედკრული სამშობლოსათვის
მამაზეციერს გაძლებას სთხოვდი...

იყო გრიგალი და იყო დელგმა,
იყო რწმენა და იყო ღალატიც,
მაინც გმირულად ელავდა ყველგან
შენი ფარ-შუბი და მუზარადი...

და მწვერვალისკენ გეჭირა თვალი,
წინ გასავლელი გელოდნენ გზები;
გადაუხდელი გიხმობდა ვალი,
შესაწამლავი გიხმობდნენ ზვრები...

შორს, მზის სხივებში წვანან ქედები,
ქარს მიაქვს სევდა, როგორც ნაცარი;
ისევ დგას შენი რწმენის კედელი,
ისევ დგას შენი ლექსის ტაძარი!

მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე

ჯანსულ ჩარკვიანი

ვუთანაგრძნობთ ოჯახს და სრულიად საქართველოს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

ჯანსულ ჩარკვიანის დამკრძალავი კომისიისაგან

ჯანსულ ჩარკვიანის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 7 და 8 ნოემბერს განსვენებულის ბინაში (თბილისი, კ. გამსახურდიას გამზ. 2, ბინა 5 (ყოფილი პეკინის 2) 16 საათზე.

გამოსვენება 9 ნოემბერს, სამების საკათედრო ტაძრიდან, 14 საათზე.

დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

„საქართველოს მატიანე“ - აი, ეს არის საქართველო! შემოგვხედეთ და გაოცდით! შემოგვხედეთ და პატივი გვეცით!

ზურაბ წერეთლის მემორიალურ კომპლექსს „საქართველოს მატიანეს“ რომ ნახავ, არ შეიძლება გული სიამაყით არ აგევსოს, რომ ქართველად დაიბადე და იმ საოცარი მისტერიის ნაწილი ხარ, რომელსაც საქართველო და მისი ისტორია ჰქვია.

ეს კომპლექსი არ არის მხოლოდ ხელოვნების ნიმუში, ის არის ხელოვნების ენით ბრინჯაოში ამეტყველებული დოკუმენტი საქართველოს უძველესი კულტურის და მისი წარსულის შესახებ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შეგვიძლია წარვუდგინოთ დანარჩენ მსოფლიოს, როგორც ჩვენი ქვეყნის უნიკალურობისა და განუმეორებლობის ეჭვმიუტანელი და ხელშესახები დადასტურება.

გამომდინარე აქედან, ქართული სახელმწიფო ვალდებულია, „საქართველოს მატიანეს“ მოუხსნას და მოუგვაროს ყველა ის პრობლემა, რაც მის სრულყოფილად ფუნქციონირებას, მის გაშლა-გაფართოებას და განვითარებას, მის საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოებში მოქცევას უშლის ხელს.

სწორედ ამაზე იყო საუბარი იმ პუბლიკაციებში, რომლებიც **„საერთო გაზეთის“** წინა ნომრებში გამოქვეყნდა.

საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები გულწრფელად წუხდნენ, რომ არსებობს ჯერ კიდევ მოუგვარებელი საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ აფერხებს კომპლექსის ფუნქციონირებას.

არც რედაქციას, არც რომელიმე რესპონდენტს, არსად, არცერთი სიტყვით არ გამოუთქვამს საყვედური ადამიანთა რაღაც კონკრეტული ჯგუფის მისამართით, რადგან ვთვლიდით და ვთვლით, რომ ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია და არა კონკრეტულ პერსონებს.

სამწუხაროდ, რედაქციის ეს აბსოლუტურად გულწრფელი და გულშემატკივრის პოზიციიდან გამოხატული სურვილი საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, თუ **„საქართველოს მატიანის“** სახით რა ხელთუქმნელი ძეგლი გვაქვს, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და აუხსნელი მიზეზებით სხვაგვარად „გადაითარგმნა“ და სხვა მიმართულებით გადამისამართდა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ადამიანები, რომლებიც ამ კომპლექსს და **ზურაბ წერეთლის** მუზეუმს ემსახურებიან ამ ადამიანებიდან, (განსაკუთრებულად გამოვყოფდით ქალბატონ **ანა ოქიტაშვილს**), კეთილსინდისიერად და თავდადებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორ ზრუნავს და როგორ უვლის ამ კომპლექსს ქალბატონი **თამილა ცაგარეიშვილი**, ცნობილი ეთნოგრაფი, შესანიშნავი მეცნიერი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კომპლექს „საქართველოს მატიანეს“ მზრუნველი ხელი არ მოაკლდეს.

დიდი პატივისცემით გვინდა მოვიხსენიოთ ბატონი ზურაბის ქალიშვილი, მხატვარი **ლიკა წერეთელი**, რომელიც უკვე დიდი ხანია ითვლება მამის ღირსეულ პარტნიორად, მის ერთგულ თანამებრძოლად და თანამოაზრედ, გენიალური მამის ყველა გენიალური წამოწყების და ინიციატივის თანაავტორად.

●

შეიძლება სადღაც არის, მაგრამ მე პირადად არ მახსენდება ქვეყანა, სადაც ზურაბ წერეთლის **„საქართველოს მატიანის“** მსგავსი კომპლექსი არსებობდეს.

ისეთი შაბექდილება იქმნება, რომ საქართველო, ჯერჯერობით, ბოლომდე ვერ ხვდება **ზურაბ წერეთლის** გენიალური ჩანაფიქრის ქვეტექსტს და არ იცის, როგორ და რანაირად გამოყენოს ის მრავალგვარი და მრავალფეროვანი შესაძლებლობები, რომელსაც ეს კომპლექსი იძლევა.

საქართველოში, ღვთის მადლით, უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო დელეგაცია ჩამოდის.

ჯერჯერობით, ნამდვილად არ მინახავს, რომელიმე ეს დელეგაცია ვინმეს ყეენის მთაზე აეყვანოს ამ უბრწყინვალესი მემორიალური კომპლექსის დასათვალიერებლად.

ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ კულტურის სამინისტროს რომელიმე ღონისძიება ამ კომპლექსში დაეგეგმოს და იქ მუსიკალური საღამოები, თეატრალური წარმოდგენები ან სხვა სახის კულტურულ-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები ჩაეტარებინოს.

ჩემთვის უცნობია ინიციატივები, რომლებიც შეიძლება განათლების სამინისტროს მხრიდან მოდიოდეს და ამ კომპლექსში მოსწავლეებისთვის, სტუდენტი ახალგაზრდებისთვის ღია გაკვეთილების, საჯარო ლექციების, კონფერენციების, სემინარების სისტემატურად ჩატარებას ისახავდეს მიზნად.

არ მახსოვს, ქალაქის მერიას იმ უამრავი ღონისძიებებიდან, რომლებსაც ის ორგანიზებას უკეთებს, რომელიმე ამ მემორიალურ კომპლექსში ჩაეტარებინოს.

ამ კომპლექსში სიცოცხლე უნდა ჩქეფდეს, ის უნდა იყოს არა მარტო ტურისტული ობიექტი, არამედ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და უპირველესი კულტურული ცენტრი, ამის გაკეთება კი არავის არ ძალუძს გარდა ერთისა — ეს არის ქართული სახელმწიფო.

სწორედ მან, ქართულმა სახელმწიფომ, უნდა დატვირთოს ეს კომპლექსი იმ ფუნქციით და მისიით, რისთვისაც ის ავტორმა შექმნა და ჩვენ, ქართველებს, გვაჩუქა იმ ბრწყინვალე სცენად, საიდანაც გამუდმებით უნდა ისმოდეს სიამაყით ნათქვამი ფრაზა — **აი, ეს არის საქართველო! შემოგვხედეთ და გაოცდით! შემოგვხედეთ და პატივი გვეცით!**

საქართველოში საქართველოს სანახავად და გასაცნობად ჩამოსული ადამიანი ისე არ უნდა მიდიოდეს, რომ ეს დიდებული კომპლექსი არ ნახოს.

არადა, ძალიან ბევრი მიდის, რადგან მათ არ იციან, რომ იქ, მაღლა, ყეენის მთაზე, შეიძლება იხილოს გამაოგნებლად გასაოცარი თავგადასავალი იმ ქვეყნისა, რომლის გასაცნობადაც ჩამოვიდა.

ეს იგივეა, ჩახვიდე პარიზში და ეიფელის კოშკი ან ლუვრი არ ნახო და ისე წამოხვიდე.

ეს იგივეა, ჩახვიდე ეგვიპტეში და ისე დატოვო იქაურობა, პირამიდებს არ შეავლო თვალი.

●

ზურაბ წერეთელი — მსოფლიოს მოქალაქე, რომლის ბრწყინვალე ნამუშევრებით მოფენილია მთელი მსოფლიო, ზურაბ წერეთელი, რომლის მიმართ მსოფლიოს პოლიტიკურ თუ შემოქმედებით ელიტას არაერთგზის გამოუხატავს უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, პირველყოვლისა, ქართველია და მთელი მისი მრავალწახნაგოვანი შემოქმედებაც ქართულია, ქართული ფესვებით არის ნასაზრდოები.

„საქართველოს მატიანე“ ზურაბ წერეთლის შემოქმედების გვირგვინია, რომელშიც განივთდა და განსხეულდა მისი ავტორის უკიდეგანო სიყვარული სამშობლოსადმი, უდიდესი პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობა სამშობლოს წინაშე, რომელიც, „როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

„საქართველოს მატიანეს“ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დატვირთვა აქვს საქართველოსთვის. ფაქტობრივად, ეს არის კონცეფცია, რომელიც არა მარტო იმას გვასწავლის და გვიხსნის, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საითკენ უნდა ვიაროთ, არამედ ზუსტად განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც ქართულ სახელმწიფოს ცივილიზებული სამყაროს თანავარსკვლავედში უნდა ეკავოს.

●

...ერთ წელიწადში ბატონ ზურაბს 85 წელი შეუსრულდება.

ვფიქრობთ, დიდი ხელოვანის, დიდებული ქართველის ზურაბ წერეთლის 85 წლის იუბილე აუცილებლად საქართველოში უნდა გაიმართოს და არა სხვაგან.

ზურაბ წერეთლის იუბილე კიდევ ერთ შანსს მისცემს საქართველოს, უკეთ გაიცნოს დანარჩენმა სამყარომ. ამიტომ სწორედ საქართველომ უნდა უმასპინძლოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მის თაყვანიმსცემლებს და პატივისმცემლებს, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ვალმოხდილი იუბილარი მისი კურთხეული მარჯვენით გაცოცხლებული მითების და ლეგენდების, ბიბლიური პერსონაჟების, მეფეების და ერისკაცების გვერდით დააბრძანოს და მოკრძალებით და მოწიწებით უთხრას დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც ამ გენიალურმა შემოქმედმა თავისი სამშობლოსთვის გააკეთა.

ვახტანგ ხარჩილავა

სწორედ უამრავი დანაშაულის ჩამდენ ყოფილ მაღალჩინოსნებს სურთ შსს დისკრედიტაცია და ანარქიის შექმნა, რომ მოსახლეობას „ნაცმოძრაობის“ მიერ „გარანტირებული წესრიგი“ მოანატროს

ორი კვირის წინ ნუცუბიძის პლატოზე სამწუხარო ფაქტი მოხდა. პატრულის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს, ახალგაზრდა მამაკაცი უეცრად შეუძლოდ გახდა და ადგილზე გარდაიცვალა. მიუხედავად დიდი მცდელობისა აღნიშნული ფაქტი ნაცნარჩენებმა და მათგან მართულმა მედიამ „სათავისოდ“ვერ გამოიყენეს. 28 ოქტომბერს ეკა კვესიტაძეს ეთერში ყოფილი შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქადაგიძე ჩაერთო, რომელმაც ივიშვიშა ეს რა უნიათო პოლიცია გვყავსო, როგორ არ გამოიძახეს სასწრაფო და არ აღმოუჩინეს პირველადი დახმარებაო... ირაკლი ქადაგიძე შეგახსენებთ, რომ „სამართალდამცავთა ლიგის“ერთ-ერთი დამფუძნებელია, ხელმძღვანელი ლევან გვაზავა გახლავთ. წევრები ირაკლი ფირცხალავა, ბახვა ჩიქობავა – განსაკუთრებულ დავალებათა

დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი (ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს)მიხეილ აბულაძე -ქვემო ქართლის პროკურორი (ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის დროს)დავით იაშვილი – კრიმინალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს)კახაბერ ნაკანი – სპეცრაზმის ხელმძღვანელი, მიხეილ სააკაშვილის ორგზის ღირსების ორდენოსანი. შსს სისხლისმოყვარული ხროვის მაშინდელი წევრები საჯიშე ბიჭებზე ნადირობდნენ და ორასამდე ახალგაზრდა „სამაგალითოდ“ დახვრიტეს პირდაპირ ქუჩებში. შემდეგ ერთმანეთის დახმარებით ცდილობდნენ ჩამოერეცხათ სისხლი...

– მე ვამტკიცებ, რომ ფირცხალავა არის ყაჩაღი და მკვლელი. მან შვილი მომიკლა. ეს იყო განზრახ მკვლელობა. წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა ცააძის, გვაზავას, მისი ზემდგომი ირაკლი ქადაგიძის და კიდევ სხვა პირების მიერ. იმდენნი არიან, რომ მათი გვარები ერთ გაზეთში არ ჩაეტევა - ეს სიტყვები იური ვაზაგაშვილს ეკუთვნის, რომლის შვილიც სწორედ ქადაგიძის მეგობრებმა დახვრიტეს და შემდეგ ცდილობდნენ მისთვის ყაჩაღი და მკვლელის სახელი დაერქმიათ, იური ვაზაგაშვილისთვის კი კრიმინალი.

ეს ამბავისწორედ იმ დროს მოხდა, როცა შსს მინისტრი გვამების შემგროვებელი ვანო მერაბიშვილი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ არც მისთვის წარმოადგენდა ადამიანის სიცოცხლე რაიმე ღირებულს და არც მისი ხროვის წევრებისთვის. ნაციონალური მოძრაობა იდგა „ვანოს ხერხემალზე“სწორედ მათი ქმედების შემდგომ „გასაპრავებლად“დაამახინჯეს კანონი „პოლიციის შესახებ“ სს კოდექსი და სს პროცესი. „პოლიციის შესახებ“ კანონში ისეთი ხასიათის ალოგიკური ცვლილებები და დამატებები შეიტანეს რომ მან პრაქტიკულად თავისი სახე დაკარგა.

აღნიშნული ცვლილებები და დამატებები იმ უკანონო ქმედების „გასაპრავებლად“ დასჭირდათ რომლებიც, 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე და რიყეზე დემონსტრაციის დასაშლელად იქნა გამოყენებული. კერძოდ: სპეციალურ საშუალებები აკუსტიკურ რადიოტალღური იარაღი, არალეტალურ სპეციალურ საშუალებები „ალ6“ და „ფნ303“, რომელთა მეშვეობითაც ისვრიან სპეციალურ ჭურვებს. იგივე განმეორდა 2009 წლის 6 მაისს თბილისის პოლიციის შენობის წინ შეკრებილი მომიტიგნებიის დასაშლელად. პოლიციის მიერ გამოყენებულმა არალეტალურმა იარაღმა დააზიანა ათეულობით ადამიანი მათ შორის რამოდენიმე მძიმედ. მათ დაკარგეს მხედველობა. აღმოჩნდა რომ დემონსტრაცის დაშლისას პოლიციამ სპეციალური იარაღი გამოიყენა უკანონოდ. 26 მაისის დემონსტრაციის დარბევაც სასტიკი, არაადამიანური ხერხებით მოხდა, სადაც პოლიციელები წვიმას „ემადლიერებოდნენ“ სისხლის გადარეცხვაში, რომ მიეხმარა. თვითმხილველების გადმოცემით თვით როდიონოვიც არ გასწორებია 9 აპრილს ისე სასტიკად მომიტინგეებს როგორც ქართული პოლიცია და სპეცნაზი.

რა დონის და როგორი მასშტაბური კრიმინალი აქვთ ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას, პროკურატურაში და სასამართლოებში შესული ათიათასობით სს საქმეებიდანაც ჩანს, სწორედ ყოფილ ჩინოსნებს სურთ დღეს, ქვეყანაში უკანონო მდგომარეობის და ანარქიის შექმნა, რომ მოსახლეობას ნაცმოძრაობის მიერ გარანტირებული „წესრიგი“ მოენატროს! ეკა კვესიტაძის შემდეგ გადაცემაში ნანული ჟორჟოლიანი ჩაერთო აღშფოთებულ-შეშფოთებულ-გადარეული და გულდაწყვეტილი, რომ მის შვილს უცენზურო სიტყვებით მიმართეს და კანონის ძალით „ობიექტს“ ვერ დასჯის. ნუ, აღარც ერეკლე ყავს, რომ ნარკოტიკი ჩაუდოს, აწამოს და დიდი ხნით „გასროკოს“ დიახ, ეს ის ნანუკაა განხორციელებული სატელეფონო ზარის გამო, მისმა გარეწარმა ქმარმა სპეცოპერაცია, რომ ჩაატარა და სამი უდანაშაულო ბიჭს ჯოჯოხეთი გამოატარა, აწამა, ნარკოტიკი ძალით გაუკეთა შემდეგ ჩაუდო და რომ არა მაშინდელი სახალხო დამცველი დიდი ხნით გაამწესებდა ციხეში. რა გააკეთა ნანუკამ ამხელა ცოდვის აღსაკვეთად? მხოლოდ სოზარს გადაეკიდა და მის წინააღმდეგ ჟურნალისტებს შავი პიარი შეუკვეთა. საინტერესოა იმ ბიჭების დედებზე თუ უფიქრია? ან თავის ქმრადყოფილის მიერ ნაყაჩაღარი ავტომანქანით, რომ დაჭენაობდა ღირსება შელახულ პატრონზე თუ ფიქრობდა? ან როცა მისი ყაჩაღი დედამთილი, ქმრადყოფილის დახმარებით ბიზნესს უმოწყალოდ „ახევდა“ხალხს, იჭერდა და ქუჩაში ვალებით ტოვებდა მაშინ თუ ფიქრობდა სხვის შვილებზე, ალბათ, ეგონა იმათი შვილები სილიკონის იყვნენ. დაბნელებია გონება ნანულის იმას თუ ვერ ხვდება, რომ ის ათიათასობით ბავშვი შურისძიების წყურვილით იზრდება, რომლებსაც ნაცხროვამ, ქმრადყოფილმა თუ მომავალმა, ბავშვობა წაართვა და კიდევ ეს, ის სისხლის მოყვარული ნანუკაა რომელიც პირველი მირბოდა მაშინდელი მკვლელი პოლიციელების „დადგმულ-დაგეგმილ“ ღონისძიებაზე მათ შორის ვაზაგაშვილის და სვანეთში უდანაშაულო აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის თვითმხილველიც გახლდათ და იქ მყოფი მცირეწლოვანი შეშინებული ბავშვები მისთვის ღიმილის მომგვრელი უფრო იყო ვიდრე ტკივილის...რაც შეეხება კვესიტაძეს აი რა კომენტარი მიუძღვნეს მას სოციალურ ქსელში- „კვესიტაძის ქმარი შოთა უტიაშვილი არის ამ ჯალათური სისტემის ერთ-ერთი შემქმნელი და შემოქმედი. ეგ იყო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი. (სწორედ ეს წამოაძახეს ეკა კვესიტაძეს შსს-ში გამართულ შეხვედრაზე და ამიტომ გამწარდა). ვის აინტერესებს კვესიტაძის აზრები? ვის აინტერესებს პაიჭაძის, ამ გებელსის „შნირის“ აზრები? ესენი უნდა წარდგენენ სასამართლოზე, როგორც ამ ბოროტების თანამონაწილეები, როგორც ფაშიზმის პროპაგანდისტები!“ და სვანეთში ამოხოცილ ოჯახს რომ აშუქებდა ეს ძუკნა“.

ეკა კვესიტაძე ქათმებს რაღას ერჩოდნენო!!! კითხულობს. თქვე უნამუსოებო რას ერჩოდით უდანაშაულო ადამიანებს რომლებსაც თქვენი ხელისუფლება აწამებდა და კლავდა ქუჩაში??? თქვენთვის ადამიანის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი ქათამი ყოფილა!!!

„ნაცების“ მთავარი მესიჯია – „უნიათო (უუნარო) ხელისუფლება“, სისხლზე დაგეშილი ზონდერებისთვის ხელისუფლებაც და შსს-ც უნიათოა, იმიტომ, რომ ბიზნესმენების ტერორით არ ახდენს ბიუჯეტის შევსებას. მთელი მსოფლიოდან ჩამოყვანილი არქიტექტორებისათვის „ატკატებით“ არ არის დაკავებული. იმიტომ, რომ ქუჩაში ახალგაზრდების ჟლეტით არ ქმნის „ნულოვანი ტოლერანტობის“ და ადგილზე ლიკვიდაციის მომნუსხველ რეალობას. იმიტომ, რომ ნარკოტიკების და იარაღის ჩადებით არ ახდენს ოპოზიციის აქტივისტების დაშინებას. იმიტომ, რომ ხალხის სისხლზე პრემიებით მადააშლილი დაგეშილი ნიღბიანების ზონდერ ჯგუფები არ გააჩნია. იმიტომ, რომ პროკურორები და მოსყიდული ადვოკატები მომენტალურად არ ახდენენ ფსიქოლოგიურად დამუშავებული პატიმრებისგან საპროცესო გარიგების გამოგლეჯას...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ალი ბაბაევი:

საქართველოს, როგორც ისტორიულად კავკასიის ცენტრს, დიდი ეკონომიკური მომავალი აქვს!

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ალი ბაბაევი.

— ბატონო ალი, თბილისში მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა მთიანი ყარაბაღის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. რას იტყვით ამაზე?

— სანამ ეს კონფერენცია შედგებოდა, მანამდე გამოჩნდნენ ადამიანები, როგორც აზერბაიჯანიდან, ისე სომხეთიდან, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ დესტაბილიზაციას რეგიონში ყარაბაღის პრობლემა უკვე 27 წელიწადია ქმნის. შეიკრიბა ე.წ. მინსკის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან რუსეთი, აშშ-ი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, თუმცა დღემდე არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით. ამიტომაც შეხვედრა შედგა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ისტორიულად კავკასიის ცენტრში, თბილისში.

— აზერბაიჯანელები მიიჩნევენ, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანული ტერიტორიაა, სომხები თვლიან, რომ ის სომხეთს უნდა ეკუთვნოდეს. პირადად თქვენ როგორ გესახებათ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა?

— ყველა ადამიანი, რომელმაც ისტორია არ იცის, იტყვის, რომ მთიანი ყარაბაღი სომხეთის მიწაა.

თუ გაეროს ოთხი გადაწყვეტილება ამტკიცებს, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანისაა, ევროპარლამენტი თვლის, რომ იგი აზერბაიჯანს უნდა ეკუთვნოდეს, ევროსაბჭოც აღიარებს, რომ ტერიტორია სომხების მიერ არის მიტაცებული. როგორღა ამტკიცებს ვინმე, რომ ეს ტერიტორია სადავოა?

— 30 ოქტომბერს ბაქოში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გახსნის ცერემონია ჩატარდა. დამეთანხმებით, მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

— რეგიონში ძალიან სეიროზული ნაბიჯი გადაიდგა. ამ მარშრუტით პირველი სატვირთო მატარებელი ყარსში უკვე ჩავიდა. იქედან ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მოხვდება. ეს ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. სომხები, მოგეხსენებათ, ამ საკითხს კრიტიკულად უყურებენ, რადგან, სანამ ყარაბაღის პრობლემა არ მოგვარდება, ამ გზით სარგებლობის უფლება მათ არ ექნებათ.

რამდენიმე დღის წინათ მოქმედების ფაზაში შევიდა კიდევ ერთი პროექტი სახელწოდებით „ასტარა-1“ და „ასტარა-2“ — ირან-აზერბაიჯანს შორისაც გაიხსნა პირდაპირი რკინიგზა. არაბეთის ქვეყნებიდან ტვირთები იმოძრავებს ირანი-ბაქო-მოსკოვის, ასევე ბაქო-თბილისი-თურქეთის მიმართულებით.

ლების გარდა შეხვედრაზე იყვნენ თითქმის 16 ქვეყნის წარმომადგენლები.

— შეხვედრის ინიციატორი რომელიმე უცხოური ორგანიზაცია ხომ არ ყოფილა?

— ინიციატორები სომხები და აზერბაიჯანელები იყვნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში ცნობილი ისტორიკოსები, კონფლიქტოლოგები, მეცნიერები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები კალიფორნიიდან, ბოსნია-ჰერცეგოვინადან, რუსეთიდან, ბელორუსიდან, უკრაინიდან და სხვ.

გაიმართა საუბრები კონფლიქტის დარეგულირების კუთხით.

საყურადღებო იყო თურქი ექსპერტის სიტყვა. მან ერთგვარი გეგმა დასახა, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის დარეგულირება.

დიალოგის შემდეგ შეიქმნა ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ სომხეთიდან ჩამოსული ექსპერტები, აზერბაიჯანელები, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები და შემდგომი შეხვედრების პერსპექტივები განიხილეს.

— ალბათ, ეს ტერიტორია სადავოა?

— ეს ტერიტორია ოთხ ეროვნულ-ეთნიკურ ერთეულად, ოთხ ეროვნულ-ეთნიკურ ერთეულად, ოთხ ეროვნულ-ეთნიკურ ერთეულად,

საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას

ვაგრძელებთ ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომლის განცხადებითაც, პოლიტიკურად შუამდგარ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სახელმწიფოს, რეალურად, მსოფლიო მაფიოზური სტრუქტურები მართავენ.

რამდენიც არ უნდა ვაპროტესტოთ, შეუმდგარ ქვეყანად ვითვლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საიდანღაც მოწოდებული ინსტრუქციებით არ ვიხელმძღვანელებდით, თავად შევიმუშავებდით სახელმწიფო სტრატეგიას და ასე ვმართავდით ქვეყანას. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ, მათი დირექტივებით კი არ უნდა ვიცხოვროთ.

საქართველოში მიგრანტების მასობრივი შემოსვლა, რომელთა უმეტესობაც სავარაუდოდ, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები არიან, გლობალური პოლიტიკის ნაწილია, ისინი მალე მომძლავრდებიან და ისე

შეგვავიწროვებენ, რომ იძულებულს გაგვხდიან უფრო მეტი ქართველი გაიქცეს სამშობლოდან, ვიდრე დღეს გარბის. არაბების მასობრივ შემოდინებაზე რომ ვაკეთებთ აქცენტს, სხვა უცხოტომელები არ უნდა დაგვავიწყდეს, რომლებიც არანაკლებ საფრთხეს უქმნიან საქართველოს. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ოპერატიულ სამსახურებში და ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე გეტყვით, რომ არაბული ე.წ. მაფია ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი „ბოევიკების“ ფინანსური დახმარებით იყო დაკავებული, რაც საქართველოს გავლით ხდებოდა. სხვათა შორის, „ბოევიკებიც“ აქედან გადადიოდნენ ჩრდილო კავკასიაში, ასე რომ, საქართველოს „სატრანზიტო დერეფნის“ ფუნქცია ჰქონდა. ცნობილი არაბი „ბოევიკი“ ხატაბი გარკვეული პერიოდი პანკისის ხეობაში იმყოფებოდა, იმასაც ამბობდნენ, №1 ტერორისტად შერაცხული უსამა ბინ ლადენიც „სტუმრობდა“ პანკისსო, ისევე როგორც ალზარ ჰავეი და არაბული სამყაროს სხვა წარმომადგენლები. როგორ იქმნიან ე.წ. შტაბბინებს საქართველოში უცხოელი მიგრანტები კრიმინალური ნიშის დასაკავებლად, ამაზე უკვე გესაუბრეთ. ერთი სიტყვით, წინასწარ იმზადებენ ნიადაგს, რომ ყველაფერი გააკონტროლონ, როცა „აბრეშუმის გზის“ ეგიდით დაიწყებენ მატარებლები მოძრაობას.

კი გვიხარია ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მონაკვეთის გახსნა, მაგრამ ამ გზის ალტერნატივაზე საუბარი უკვე ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. არსებობს პროექტი ირანი-აზერბაიჯანი-რუსეთის სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ, აზიიდან წამოსული ტვირთები, რომლებიც სუეცის არხით გადიოდა ევროპაში, ამ მაგისტრალის საშუალებით გავა. მოგეხსენებათ, არაბეთის ნახევარკუნძულზე გამალებული ომია, იგივე იემენში, რაც ტვირთებს საფრთხეს უქმნის, თანაც გემის დაქირავება-დატვირთვა - ტრანსპორტირება ძვირი ჯდება, ხოლო რკინიგზა ყველაზე იაფი ტრანსპორტია. მართალია, ტრანსპორტირებისთვის სხვა მარშრუტებსაც ეძებენ, მაგრამ ხსენებული პროექტი სერიოზულად იმუშავებს. ამ პროექტის განსახორციელებლად რომ სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს, ისიც ადასტურებს, რომ წელს დსთ-ში შემავალი ქვეყნების სამხედრო წვრთნები რომ ჩატარდა ბელორუსიაში, რუსეთს აღარ გამოუყვანია იქიდანა თავისი სამხედრო დანაყოფები დატოვა. ხსენებული პროექტი თუ ამუშავდა, საქართველო და უკრაინა, ფაქტობრივად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. „აბრეშუმის გზა“ კი გაიხსნა (ჩინეთი ტყუილად არ იმუშავებდა ამ პროექტზე), მაგრამ მისი ფუნქციონირება ყოვნდება, აშკარაა, რომ რაღაც ხდება. შეიძლება ვინმე შემომედავოს, ირანი და აშშ დაპირისპირებულები არიან, ამერიკელებს ირანი №1 მტრად ჰყავთ გამოცხადებული და როგორ დაუშვებენ ახალ პროექტში მის აქტიურ მონაწილეობასო. ევროპა კი ითვალისწინებს ამერიკის აზრს, მაგრამ აქ მარტო ირანის ტვირთებზე არ არის საუბარი, ირანს ამ შემთხვევაში უმეტესად სატრანზიტო ფუნქცია ექნება, თანაც რომელი პროექტიც მომგებიანია, ევროპელები იმას დაუჭერენ მხარს. ამავე დროს არ დაგვავიწყდეს რუსეთის პრეზიდენტის პუტინის განცხადება, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ირანთან ცუდი ურთიერთობა არ გვექნებაო, აქვე არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ სირიის კონფლიქტის შემდეგ, ამერიკას პოზიციები საკმაოდ შეერყა, რუსეთი კი პირიქით, გაძლიერდა.

ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, საქართველოდან ათეულობით მილიარდი დოლარია გატანილი, ერთი ცენტიც არ დაბრუნებულა, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობამ ამის შესახებ არაფერი იცის. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არ ბრუნდება? კრიმინალურ სამყაროზე როცა ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენთან კრიმინალებიც ორ ჯგუფად იყოფიან: კრიმინალებად და ე.წ. ბეზპრედელშჩიკებად. სწორედ ამ „ბეზპრედელშჩიკებით“ იყო უმეტესწილად დაკომპლექტებული ნაცმოძრაობა, უფრო ზუსტად ნაცბანდა. შსს-ში როცა ვმუშაობდი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, არქივიდან მე-20 საუკუნის მიწურულს შექმნილი დამუშავების საქმე ამოვიღე. სერიოზული პროფესიონალის ნამუშევარი იყო, რომელსაც ბოლო ფურცელზე ხელით ჰქონდა მიწერილი, „ბეზპრედელშჩიკებს“ სურთ ძველი თანამშრომლები გაგვყარონ სისტემიდან, თვითონ კი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში შეძვრნენ და ცხოვრება მოიწყონ, ესენი აშკარად დაღუპავენ ქვეყანასო. სამწუხაროდ, ამ ჭკვიანი კაცის წინასწარმეტყველება ახდა. ქვეყნის დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ, რუსები კი გავიდნენ საქართველოდან, მაგრამ თავიანთი ქსელები დატოვეს, ანუ ის ხალხი, რომელიც ვითომდა რუსეთის ინტერესებს ატარებდა. მათმა უმეტესობამ მოგვიანებით ზურგი აქცია რუსეთს, დიდი ფული იშოვეს და აღარ ჭირდებოდათ, ახლა ევროპა მოუნდათ. საბჭოთა კავშირიც ასე დაიშალა, მანამდე ჩამოყალიბდა ორი ფრთა, პატრიოტები და ლიბერალები, ამიტომაც იყო იმდენი ომი და კრიმინალური გარჩევები რუსეთში. არ გახსოვთ, 90-იან წლებში რუსეთში ბუზებივით რომ ხოცავდნენ „ახლადგამოჩეკილ“ ბიზნესმენებსა თუ კრიმინალურ „ავტორიტეტებს“, ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები, „სონცევოს“, „კუნცევოს“ და ა.შ. ეს დაჯგუფებები ქართველი „კანონიერი ქურდების“ ჯემალ ხაჩიძისა და ტარიელ ონიანის შექმნილი იყო, რაშიც ასევე დიდი „წვლილი“ მიუძღვოდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის „პროტეჟე“ ოთარ კვანტრიშვილს. ეს უკანასკნელი შემდეგ სალონიკმა მოკლა, რომელიც „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომელი იყო და მერე გახდა კრიმინალი. მოგვინებით სალონიკიც მოკლეს საბერძნეთში. იქიდან გამომდინარე, რომ ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ ვინც მოკლა კვანტრიშვილი. მე ადრეც მითქვამს, რომ „კაგებეც“ ორად იყო გაყოფილი, პატრიოტული ძალები და ლიბერალები, ფულზე გაყიდული კასტა, რომლებიც საბოლოოდ მაფიოზებად ჩამოყალიბდნენ. ვფიქრობ, სწორედ პატრიოტებმა მოიშორეს კვანტრიშვილი, რადგან ელცინის მფარველობით უკვე ძალზე გათავხედებული იყო. სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტი პუტინიც ხსენებული პატრიოტული ძალების წარმომადგენელია. საქართველოშიც ხომ დარჩნენ ძველი სპეცსამსახურელები (ზოგიერთი მათგანი დღეს ცოცხალი აღარც არის), რომლებმაც უღალატეს იმ იდეას, რომლის გამოც ხელისუფლებაში მოვიდნენ. თავიდან მოხდა შეთანხმება ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, როგორ დაემხოთ ეროვნული ხელისუფლება. უბრალო ხალხი ზვიადის მხარდამჭერი იყო, მაფიოზური ინტელიგენცია იყო მისი წინააღმდეგი. იმ მაფიოზებმა, რომელიც რუსეთის ლიბერალურმა ფრთამ, ანუ ელცინის ფრთამ დატოვა საქართველოში დაამხეს ზვიად გამსახურდია და დევნილად აქციეს. ელცინს იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველო რუსეთისკენ მიბრუნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ამ ფსევდოლიბერალმა მაფიოზებმა ვითომდა ლიბერალური იდეების გატარება დაიწყეს საქართველოში. სინამდვილეში ამ „რეფორმების“ მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღოთ „შემოქმედთ“. ახლა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების წინააღმდეგი სწორედ ეს ხალხია, რომელიც მოსახლეობის 5%-ს თუ შეადგენს. მოსახლეობის უმეტესობას უნდა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს, მაგრამ ქვეყანამ თურმე ამ ერთი მუჭა „პროდასავლელ-დემოკრატების“ ხუშტურებზე უნდა იაროს,

რომლებიც თავზე წამოგვასკუპდნენ, ესენი მართავენ დღესაც ქართულ პოლიტიკას. მერწმუნეთ, ვინც ყველაზე მეტად ლანძღავს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მსურველთ, ისინი რუსეთის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები არიან. რაში აწყობთ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დალაგება, როცა დაპირისპირების ხარჯზე დიდ ფულს შოულობენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ფული წასცინცლონ ამერიკას. ქართული პოლიტიკა მთლიანად „მონოპოლიზებული“ აქვს ამ კასტას, მათ საახლობლოს აქვს დაკავებული პოლიტიკური ასპარეზი, უცხოს ცხვირს არ შეაყოფინებენ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ეს ხალხი არ აკარებს „ქართულ ოცნებას“ პატრიოტულ ძალებს.

ერთ მაგალითს გეტყვით, მე „ეროვნული ფორუმის“ ბიუროს წევრი ვიყავი, თითქმის ყველა საპროტესტო აქციაში ვღებულობდი მონაწილეობას. 2012 წლის არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ ოფისში მივედი, რომ გამარჯვება აღგვენიშნა. ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მოვიდა ძვირადღირებული ავტომანქანით, მაშინვე მივხვდით „წარმატებული“ ნაციონალი იყო, „ქართული ოცნების“ წევრი მინდა გავხდეო. იქ მყოფებს გაგვეცინა, ახლა მოგინდა პარტიის შეცვლაო, თურმე სასაცილოები ჩვენ ვიყავით, მარტო ეს კაცი კი არ გახდა „ქართული ოცნების“ წევრი, ლამის მთლიანად ნაციონალებმა დაიპყრეს მმართველი პარტია, ის ხალხი კი ვინც საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ ნაცების რეპრესიები, დღესაც უმუშევრები, უსახსროდ ვართ. ეს პარტია-პარტია მორბენალი ხალხი არ აკარებს „ქართულ ოცნებას“ პატრიოტებს. ახლა ხომ ლანძღავენ რუსეთს, მაგრამ ურთიერთობის ნორმალიზება რომ დაიწყოს, დარწმუნებული იყავით ესენი ყველას მიასწრებენ, რუსეთის მაქებართა რიგები დადგება. ფსევდოლიბერალები ყნოსვით გრძნობენ სად ჯობია ყოფნა, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ, თვითონ ხომ მოიწყეს ცხოვრება და ახლა უნდათ შვილებიც სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი ყავდეთ პრივილეგიებით. ეს სხვადასხვა, ვითომდა, უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები, სინამდვილეში „კეთილშობილურ“ საფარქვეშ მოქმედი სიონისტურ-მასონური ცენტრია. ზუსტად აღარ მახსოვს რომელ წელს(70-იანი წლები) მოაწერა ხელი საბჭოთა კავშირის გენმდივანმა ბრეჟნევმა ატომური იარაღის ერთმანეთის მიმართ გამოუყენებლობის ხელშეკრულებას, ხელმოწერის თარიღი სპეციალურად დაამთხვიეს დასავლეთის სახელმწიფო ლიდერებმა მასონების რაღაც შეკრების თარიღს, როცა ხელი მოეწერა ადამიანის პიროვნული თავისუფლების შესახებ დოკუმენტს. იმ პერიოდიდან იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. სწორედ ამ დოკუმენტს გვიფრიალებენ ხოლმე ქართველი ე.წ. უფლებადამცველები. ამათი „მამამარჩენალი“ სიონისტების სურვილია საქართველოს განადგურება. აკადემიკოსმა სახაროვმა 1989 წელს საქართველოს მცირე იმპერია უწოდა, როდის იყო საქართველო იმპერია, ეს რატომ უნდა ეთქვა ადამიანს, რომელსაც დისიდენტობაზე ჰქონდა პრეტენზია? იმიტომ თქვა, რომ სიონისტების იდეებს აჟღერებდა. თქვენს გაზეთში ძალიან საინტერესო სტატიები იბეჭდება თემაზე, რომ მსოფლიო ცივილიზაცია საქართველოდან იწყება. მსოფლიო ცივილიზაციის აკვნობას და სტალინს აპატიებენ საქართველოს სიონისტები? თურმე ბაგრატიონებიც ბიბლიური დავითის შთამომავლები ყოფილან და ჩვენც აღტაცებულები თუთიყუშებივით ვიმეორებთ ამ სისულელეს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ჩვენ „მოქანავე“ ერი ვართ – საკუთარი ნებით ვაქანავებთ სასქესო ორგანოს და სხვა ადგილსაც და ამაში დასავლეთს ნუ ვადანაშაულებთ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, მთელი კვირაა სრულიად საზოგადოება „პოლიტპატიმარ“ ვანო მერაბიშვილის შესაძლო გათავისუფლებაზე მსჯელობს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე?

— დიახ, ეს საკითხი მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა არ მგონია ამან რამენაირად გავლენა მოახდინოს ან თუნდაც შეცვალოს საზოგადოების, სახელმწიფოს დამოკიდებულება თემისადმი. მედია-საშუალებები, ძირითადად, სკანდალზე მუშაობენ. ამ დროს, საქართველოში, დღეს, არაფერი ხდება. ეს „ნაც. მოძრაობის“ მიერ შემოთავაზებული ფორმულაა, რომ თითქოს, მერაბიშვილი პოლიტ-პატიმარია. ამ ფორმულას ატრიალებს მედიაც. არ მგონია, ამ ტიპის ფრაზებით, სააკაშვილმა, რაიმე სერიოზული მოგება ნახოს. აქ, ხშირად გვესმის: სააკაშვილის რეჟიმი ჯერ არ დასრულებულაო. მართლაც, სააკაშვილისეული კადრები ისევ ხელისუფლებაში არიან, თანაც, უფრო მოღონიერებული, გათამამებული, მისი მომხრეები საკმაოდ აქტიურობენ. ამიტომ, მისი რეჟიმის დასრულებაზე ლაპარაკი ძნელია. შეიძლება თვითონ სააკაშვილი დასრულდა პიროვნულად, თორემ მიშიზმი საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში გრძელდება.

— ეს - იზმი იმის მიმანიშნებელი ხო არ არის რომ, ერი მუდმივი ბელადის ძიებიდან ველარ გამოდის თუ რა ხდება?

— წესით, ვერც უნდა გამოვიდეთ, რადგან ბელადს ის ერი

— რამდენიმე დღის წინ, უკრაინაში მეგის ქარდავა დააკავეს, რომელიც ადამიანთა არაადამიანური წამების არაერთ საქმეზე დაუსწრებლად არის გასამართლებული. აქვე, საინტერესოა ისიც, რომ სააკაშვილის განცხადებით იგი მეგის ქარდავას არ იცნობს.

— დიახ, სააკაშვილი ხომ უნიკალური პერსონაჟია, ის ტიპია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი რამ თქვას, რაც კონკრეტულ მომენტში სჭირდება. ადამიანებს არც წარმოუდგენიათ რას იტყვის და რას — არა. შეიძლება თვითონაც არ აქვს დაგეგმილი თავისი სათქმელი, უბრალოდ, იმ მომენტში ასე სჭირდება. ეს თვისება მას ადრეც ჰქონდა. ახლა, უკრაინაში რევოლუციის მოწყობას და საქართველოს გათავისუფლებას გეგმავს. ესეც საინტერესო ფრაგმენტია შემდეგი კუთხით: იმ ადამიანისგან, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიები დათმო, რამდენად უნდა ელოდო, რომ განმათავისუფლებლად გამოდგება. გვაქვს თუ არა სამაგისო კრიტიკული აზროვნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ეძებს, რომელსაც უჭირს. თქვენთან, წინა ინტერვიუში, ვთქვი: მოწუწუნე ერი ვართ-მეთქი. ახლაც ანალოგიური შინაარსით ვამბობ: წუწუნი გვახასიათებს. ვვარაუდობ, რომ ეს წუწუნი საბჭოთა პერიოდში შეძენილი თვისებაა, როცა ყველა წუწუნებდა და ეს მოდაშიც კი იყო. ადამიანს რომ შეეკითხებოდი როგორ ხარო, იშვიათად გპასუხობდა კარგადო. აი, ეს კარგად ვარ რომ სირცხვილია, სწორედ ეს არის ქვეყნისთვის ძალიან ცუდი, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობა ბრძოლისუნარიანი არ არის, ბოდიში ამ შედარებისთვის, მაგრამ მას ქალური თვისებები აქვს. საქართველოში ქალი თოფსაც ხმარობდა და ხმალსაც — ამ ქალებზე არ მაქვს ლაპარაკი, მაგრამ საერთოდ, თუ ადამიანს არ სჯერა რომ გაიმარჯვებს, იგი ვერასდროს გაიმარჯვებს.

ჩვენი ერი ყოველთვის სხვების მიბაძვაზე იყო გაწაფული. გაიხსენეთ, გიორგი I გენიალური მონოლოგი „დიდოსტატის მარჯვენაში“. ამასაც რომ თავი დავანებოთ ჩვენს ენას შეხედეთ — რამდენი სიტყვაა ნასესხები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ როგორც კი გამოჩნდება რაიმე ვარიანტი უცხო სიტყვის შემოტანისა, სასწრაფოდ ამ უცხოს უფრო იზიარებ, საკუთარს კი ივიწყებ. ქუჩაში წარწერებზე ჩანს ის ტენდენცია, რაზედაც კონსტანტინე გამსახურდია ლაპარაკობდა. სამწუხაროდ, ასე გრძელდება, ხელს არაფერი უშლის იმას, რომ სხვანაირად მოხდეს. ჩვენ, გვაქვს ტენდენცია, რომ სხვებს მივბაძოთ. ანუ, როგორიც იქნება სხვების კულტურა, ჩვენც ისეთი ვიქნებით. როგორიც იქნება დასავლეთი, ჩვენც ისეთი ვიქნებით.

— როგორიც იქნება დასავლეთი, ჩვენც ისეთი ვიქნებითო — ამბობთ, განა, რა გვიშლის ხელს, რომ კარგში მივბაძოთ და არა ცუდში.

— კი, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, მაგრამ ვინ გაარკვია რა არის კარგი და რა ცუდი. თქვენ, გული შეგტკივათ იმიტომ, რომ ჩვენს კულტურას სხვანაირად უყურებთ. ის კაცი კი ვინც ეთერში კაბით გამოდის, იტყვის, რომ ახლა, ეს არის გასაკეთებელი, ახლა, ეს არის კარგი, რასაც მე ვაკეთებო და სასქესო ორგანოებს გააქანავებს. ხშირად ისმის ამ უმსგავსობას დასავლეთი აფინანსებსო. მაგრამ დასავლეთს რაში აინტერესებს, ჩვენ სასქესო ორგანოს გავაქანავებთ, თუ გავანიავებთ? ჩვენი ნებით ვაქანავებთ ყველაფერს, გენაცვალე და, დასავლეთში ნუ დავინახავთ იმის პრობლემას, რაც ჩვენშია.

— ბატონო რამაზ, ჩვენი ქვეყანა დენთის კასრზე ზის, მუსულმანურ რკალშია, მაგრამ გავიძახით: ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ არაფერი არ გვემუქრება, ყველაფერი კარგადააო. მოკლედ, არხეინად ვართ.

— დიახ, სულ ასე არხეინები არ ვიყავით. ერთ-ერთი ისტორიული ბრძოლისას ქართველებმა სიმაღლე აიღეს და მერე, ძირს ჩავიდნენ საქეიფოდ, დაკარგეს ეს სიმაღლე, მერე, ისევ აიღეს და ა.შ. და ა.შ. არხეინები ვართ და ყოველთვის ვიყავით. რისთვის გვინდა სხვანაირები რომ ვიყოთ, რათა სხვა ერებში არ გავითქვიფოთ ხომ?! აქამდე, არ ვითქვიფებოდით, ამის ნიშნები არ იყო? ოღონდ, მაშინ ერთი განსხვავება იყო — მეფეს ეს ქვეყანა თავისად მიაჩნდა როგორც საკუთარი ეზო, სახლი და ა.შ. და თუ ვინმე წართმევას დაუპირებდა ისე იბრძოდნენ, როგორც თითოეული ადამიანი იბრძოლებს ვინმემ სახლის წართმევა რომ დაუპიროს. ახლა, დრო შეიცვალა და ეს ქვეყანა არავისი არ არის. ეს საერთოდ, დემოკრატიის პრობლემაა. დემოკრატია ძალიან კარგია, მაგრამ ის ცნობიერება, თავდადება, რაც მეფეს ჰქონდა, აღარ არის იმიტომ, რომ ადამიანი ხელისუფლებაში ოთხი წლით მოდის. ამ ოთხ წელიწადში მას გაუჭირდება იმის განცდა, რომ ეს მისია. ხალხში ძალიან დიდი პატრიოტიზმის სულისკვეთება უნდა არსებობდეს, რათა ეს განცდა ჩამოყალიბდეს, რომ ეს ქვეყანა მისია და მან ისე უნდა მოუაროს როგორც საკუთარს. ეს განცდა, თითქმის, აღარსად აღარ არის. ამიტომაც არის, რომ დასავლეთშიდაც ადვილად სწირავენ თავის კულტურის თავისებურებებს, თორემ, რაინდების კულტი ხომ მათთან იყო და ამ კულტში ბევრი ისეთი ვაჟკაცური ელემენტი იდო, რომელიც, შეიძლება ითქვას, არ დაგვესიზმრებოდა, მაგრამ ეს ელემენტებიც და, მათ შორის, ქვეყნისთვის, ღმერთისთვის, რელიგიისთვის თავდადება მოიშალა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან კი არა, დასავლეთში მოიშალა. იმიტომ, რომ ქვეყნის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. სამშობლო აღარ არის ის, რაც ადრე იყო.

— სამშობლო ახსენეთ, რა ხანია ეს სიტყვა აღარ გვსმენია, დავკარგეთ და თავიდან გვაქვს საპოვნელი.

— მარტო ჩვენ კი არა ყველა კარგავს... ზოგადად, მსოფლიოში ღირებულებათა გაუფასურებები ხდება. რადგან ეს ყველგან ხდება, ალბათ, ისეთი გაოცებულნი არ უნდა ვიყოთ და არ უნდა ვიკითხოთ: ჩვენ რა გვემართებაო. ჩვენ არა, ყველას ემართება. რა თქმა უნდა, ეს დიდი ბედენა არ არის ყველას რომ ემართება, მაგრამ მეორე მხრივ, ისეთი ხასიათის ხალხი ვართ უარესიც შეიძლება დაგვმართნოდა. გაუტანელი ხალხი ვართ. შემთხვევითი ხომ არ არის დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომის დროს, რითაც ყველას თავი მოგვაქვს, თავისივე ჯარს ზურგი ჩაუხერგა, რადგან დარწმუნებული არ იყო, რომ არ გაიქცეოდნენ. ჩვენ, ძალიან გვიყვარს ამაღელვებელი სიტყვებით ქართველობაზე ლაპარაკი, მაგრამ ქართველობა ალბათ, არც უფრო ამაღელვებელია, ვიდრე სხვა ერის შვილობაა და არც უფრო დამთრგუნველი. ბრძოლის ველიდან გამქცევი ყოველთვის ყველგან იყო, მაგრამ თუ გავიხსენებთ, ჩვენთან — ეს იყო ხშირი. თუნდაც ის, რომ ახალგაზრდებმა აფხაზეთში გმირობა შეძლეს მაშინ, როდესაც მათ, ფაქტობრივად, გმირობას არავინ თხოვდა, ეს უკვე იმედის მომცემია.

თამარ შველიძე
555 23 28 24



30 წლის წინათ – ამერიკაში და 30 წლის შემდეგ საქართველოში

ყველაფერი ბანალურად დაიწყო...

არ დაიჯერებთ და 30 წლის წინ ალ პაჩინოს სექსი ჰქონია...

ჰოდა, ალ პაჩინოს კი ეგონა, რომ სექსი ჰქონდა, მაგრამ 30 წლიანი ფიქრის შემდეგ, მისი პარტნიორი მიხვდა, რომ ეს იყო – სექსუალური ძალადობა...

ქართველები ხომ ყოველმხრივ ნიჭიერი ხალხნი ვართ, მაინც და მაინც ალ პაჩინოსთან ხომ არ უნდა დავწვეთ, რომ თავი სექსუალურად შევიწროებულებმა ვიგრძნოთ, არა?

ამიტომ, ზუსტად ორი კვირა დაგვჭირდა, არც კი, იმის მისახვედრად რომ სექსუალური შევიწრება ქართველებს გვჭირს, თუ გვჭირს – თან ახლა და ამ დროს...

ჯაყოს მუხლზე დაუტყაპუნებია მოსუქებული თითები, ოხვრა ამოუყოლებია სუნთქვას – ურმის ქვეშ შევიწროებული სექსი გახსენებია...

ძალადობა ყველგან ხდება და საქართველოშიც გვაქვს ამის მაგალითები, თქმა რად უნდა – მაგრამ ცნობილებმა – საყვარლების რაოდენობით ცნობილებმა, მკერდის ზომით ცნობილებმა, მდიდრული სექსით ცნობილებმა დაგვიწყეს ისევ დამოძღვრა.

ძალადობა არ არის ახლა ეს, ვიწრო ეკრანიდან რომ მიწევს ამათი ყურება და მოსმენა?

ძალადობა არ არის ახლა ეს, საერთოდ რომ მიწევს ამათი ყურება და მოსმენა?

გადავრთავდი, მაგრამ სად გადავრთო? სადაც გადავრთე, ყველგან ერთ სიტყვაზე აწყობილი სიუჟეტია და მოძრაობა – სექსი, სექსი, სექსი... ტრაკი, ტრაკი, ტრაკი...

ყველანაირი სექსი – კაცის და კაცის, კაცის და ქალის, ქალის და ქალის და იმათიც, აი, ქალიც რომ უნდა და კაციც – რა ღორობაა, კაცი ამათ არ დაგვიტოვეს და ქალი... და მიდის უკანალების კასკადი – ბანჯგვლიანი, ტინტილა პატარა დუნდულა – ფანტაზიის ნასახს არ შეგარჩენენ ადამიანს – იქნება და თავად მინდა წარმოვიდგინო ეს ოხერი... ვბერდები და საკუთარისთვის არ შემივლია თვალი... პროკტოლოგს არ ექნება ამდენი უკანალი ნანახი – რამდენსაც სულ ასე ძალით გვჩრით თვალში აღტაცებული შეძახილით და კისერზე კოცნამ შეგავიწროვათ? თქვენ? თქვენ, რომლებიც დისერტაციას დაწერთ სექსზე?

თქვენ იმ „სასტავიდან“ არა ხართ, ბოლო ხმაზე რომ გაყვიროდა, ჩვენც თქვენთან ვართ, ქალბატონო მინისტრო, მერე რა მოხდა, სამჯერ უმცროს ხელქვეით ყმაწვილთან თუ გქონდა სექსიო? რატომ რა, ის არ იყო სექსუალური ძალადობა? რაკი მინისტრი ქალბატონი კისერზე არ კოცნიდა იმიტომ? სიყვარულის ღაღადს ჰგავდა ვითომ ის ვიდეო?

აკი, მაშინ პრეზიდენტიც, ჩვენი ლიბერალი პრეზიდენტიც კი იცავდა იმ ქალბატონს და ამაყად გაიძახოდა – მდიდრული სექსი მაქვს მეცაო... რა გეცათ ეგეთი, ბატონო, რა.

აკი, მაშინ გაიძახდით, ჩვენც გვყავს ასეთი შეყვარებულებიო?

აკი, მაშინ არავის გახსენებია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი თანამშრომელი ყმაწვილი?

ანუ, ასე გიძალადიათ თქვენც თქვენს თანამშრომლებზე? ჯერ გეკოცნათ, ჯერ კისერზე მაინც გეკოცნათ...

ჰოდა, რა კისერზე კოცნა და რის – ამ საღამოს ყავა დავლიოთო???

დასექსილები ხომ არა ხართ თქვენ?

ახლა ბიძია, ტრაკს თუ გამოაჩენ და მკერდის არეში თუ თითს აისმევ კამერის წინ – უფროსი კისერში კოცნას თუ გაკმარებს, კაი გვარიანი სილაც უნდა ულაწუნო – იმპოტენტი ეგ.

რა თივა და რის ურემიო – ჯაყომ დაიტყაპუნა პუნტულა თითები მუხლზე ოხვრით...

ვკითხულობ „გამზრდელს“, „ელგუჯას“ – და ბრაზი ბურთად მეჩხირება ჯერ გულთან, მერე ყელთან... მეზიზღება პერსონაჟი, რომელმაც კაბა შემოაფლითა ქალს, რომელმაც გაარტყა, რომელმაც ძალა იხმარა, უმანკოება წაართვა...

თქვენ ან შემოსაფლეთი რა გაცვიათ, ან წასართმევი რა გაქვთ?

კისერში გვაკოცეს და ლიფტში შეგვაშინესო...

რავალი ჭკვიანები ვართ გურულები – ცოცხალი თავით არ ვამონტაჟებთ ლიფტებს სახლებში...

საშიშია ლიფტი...

დიდხანს ვფიქრობდი, ვინ შეიძლება მიეპაროს ქალს და აკოცოს კისერზე – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ცხრაჯერ...

უფროსიო – ამოიკნავლეს გოგჩოებმა და დააჟრიალათ, წარმოიდგინეს ეტყობა, გაახსენდათ ეტყობა...

უფროსიო – წამოიტირეს გოგჩოებმა და სახე დამანჭეს...

ბებიაჩემსაც ჰყავდა უფროსი, ბებიაჩემი ექთანი იყო და ღამის სმენებშიც მუშაობდა – არავინ ეტანებოდა კისერზე საკოცნელად... თქვენზე უკეთ გამოიყურებოდა, აშკარად, მაგრამ ბებიაჩემს კი არ ეკეთა ტანსაცმელი, ეცვა, გენაცვალე, ეცვა და არც მკერდის დასაწყისში ისმევდა ვულგარული, ბულვარული, ვითომ სექსუალური მოძრაობით თითს...

თორემ, ძალადობა ყველგან ხდება და საქართველოც არ იქნება გამონაკლისი, რად უნდა თქმა.

მე რომ ქალების ძალადობაზე ვწერდი, რეალურ ძალადობაზე – მკვლელობაზე, დასახიჩრებაზე, გაუპატიურებაზე – თქვენ ჩუმად იყავით, თქვენ ხმას არ

იღებდით – რატომ რა, მაშინ არ გკოცნიდათ უფროსი კისერთან, ყურთან?

ა, ხო, მაშინ არ იცოდით ჯერ კიდევ, რომ 30 წლის წინ ალ პაჩინოს სექსი ჰქონდა...

თქვენ საიდან უნდა გცოდნოდათ, თუმცა, მისმა პარტნიორმაც ახლა გაიგო...

არ უნდა ჩამოვრჩეთ, ამერიკას, არა, უნდა გადავუსწროთ...

ჯანეტ ჯექსონს კაბის სალტე რომ გაუწყდა და მკერდი მოუშიშვლდა კამერის წინ – ჯარიმა გადაახდევინეს – თორმეტ საათამდე ჯერ კიდევ ბავშვები და მოზარდები უყურებენ ტელევიზორსო და ჩვენი პირველი ლედი კიდევ, ისე გადაირია იმ მოშიშვლებულ იაპონელზე, რომ ამერიკის პირველი ლედი გამახსენდა და შემეცოდა – ამას აპატიებს ამერიკის პირველ ლედის „გარყვნილი“ ამერიკა?

წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ გამოთქმით და სახეგაბრწინებული გამოხატავს ჩვენი პირველი ლედი აღტაცებას იმ იაპონური ტაკუცუნების გამო და თვალები ცრემლით მევსება – მაინც რითი სჯობს ის მეტრიანი იაპონელი ჩემს მთასავით პრეზიდენტს!

ჰოდა, მივუბრუნდეთ შევიწროებულთ და მიხედეთ, ქალბატონებო, კისრებს, მიხედეთ...

ჩვენ, უპატრონოები, ასსაყვარელგამოუცვლელნი, ჩაცმულნი, რას გავიგებთ იმ ტანჯვას, რასაც კისერზე კოცნა ჰქვია...

ჩვენ მხოლოდ ტრანსპორტში შევიწროება გვეხება...

მაცივრის შევიწროება გვეხება...

ლარის შევიწროება...

გადასახადების შევიწროება არ გვეხება სამწუხაროდ...

წამლის შევიწროება გვხუთავს ხოლმე და ექიმის...

სასწრაფო დახმარებაც კი შევიწროებით გვემსახურება...

ხელფასის შევიწროება გვადარდებს კიდევ...

სამშობლოს, სარწმუნოების, ენის შევიწროება გვხვდება გულს...

ჰოდა, ახლა თუ ასე ყველას გკოცნიან კისერზე, თუ ასე მოდაშია, იქნება და ჩვენც კი გვკოცნიან, მაგრამ ამ გამწარებულ გულზე ვერ ვგრძნობთ, რა ვიცი, ვერ დავიჩემებ...

ის ცნობილი ამბავი გამახსენდა – ქალი რომ უარს ამბობს და თანხმობას ნიშნავს... იქნებ მანდაც ეგ ამბავია, იქნებ თქვენც ეგ გინდათ, რომ მოვიდნენ და შეგავიწროვონ, მოვიდნენ და დაგიპყრონ, მოვიდნენ და კისერი დაგიკოცნონ... თორემ, რა ვიცი, ასე თუ წახდა ქართველი კაცი, რომ ქალის მხოლოდ კისერზე კოცნით შემოიფარგლება – სულ წასულა ჩვენი საქმე და ეგაა...

ტუჩებს გაბუსხავდით, ალბათ, ახლა, მაგრამ ისე გაქვთ დაბერილი ტუჩებიც – აღარ იბუსხება, სადღა დაიბუსხოს – შუბლზე ხომ არ ავა...

არადა, ყველაფერი რა ბანალურად დაიწყო – სადღაც ამერიკაში, ოდესღაც, ასე ოცდაათი წლის წინ, სექსი ჰქონია ალ პაჩინოს...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

„ნადირობა კუდიანებზე“, „პუჩდემონის ცირკი“ და ახალი ტერაქტების სერია

„კუდიანებზე ნადირობას“ უწოდებენ პოლიტოლოგები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის წინააღმდეგ აგორებულ ე.წ. შავ პიარს. მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირის წინ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული წერილით პირდაპირ დაადანაშაულეს ჰილარი კლინტონი ტრამპის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები მაინც არ ცხრებიან. გასულ კვირას აშშ-ის სენატის კომიტეტის სხდომაზე გამოკითხეს გუგლის, ფეისბუქის, ვიკილიქსის მესვეურები საკითხზე, იყო თუ არა რუსეთის კვალი შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე. რუსეთის რა გითხრათ, მაგრამ კვალი უკრაინისკენ წავიდა.

გაირკვა, რომ კლინტონის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა არალეგალურად სოლიდურ თანხებს იღებდა უკრაინის ყოფილი ხელისუფლებისგან და გადასახადებსაც მალავდა. ამის გარდა, კლინტონს შეახსენეს, თუ როგორ ჩაძირა წინასაარჩევნო პრაიმერზე თანაპარტიელი პარტიისთვის შემოწირული თანხის მეშვეობით. ახლა უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ დემოკრატიული პარტიიდან ჰილარი იქნებოდა კანდიდატი, რომელსაც გამარჯვებასაც უწინასწარმეტყველებდნენო. უკვე რამდენიმე თვეა, თავად ამერიკელი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ ქვეყანა შპიონომანიამ მოიცვა. ამიტომაც ბოლო პერიოდში ექსპერტები და მასმედია აღნიშნულ საკითხს ნაკლებად აქცევს ყურადღებას.

სიმართლე აღმოჩნდა იმ პოლიტოლოგების მოსაზრება, რომლებიც ამბობდნენ, რომ ტრამპი ჩრდილო კორეასთან საომარი ვითარების გაღვივებას მოერიდება და პრობლემის მოგვარებას დიალოგის გზით შეეცდებაო. მართალია, პენტაგონის შეფი ჯეიმს მატისი სამხრეთ კორეაში ვიზიტისას დაემუქრა ჩრდილოელებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრამპი სხვაგვარად ფიქრობს და მოქმედებს. მისი ერთ-ერთი მთავარი იარაღი, როგორც ჩანს, დიალოგია.

გასულ კვირას დაიწყო დონალდ ტრამპმა თავისი ხანგრძლივი, 12-დღიანი აზიური ვიზიტები. თავდაპირველად იგი ჰავაის კუნძულს ეწვია, სადაც მოინახულა აშშ-ის სამხედრო ბაზა და შეხვდა იქ მომსახურე პერსონალს. ამის შემდეგ ტრამპი იაპონიაში და სამხრეთ კორეაში იმყოფებოდა. „ვერც ერთმა დიქტატორმა, რეჟიმმა ვერ უნდა შეძლოს უგულებელყოს აშშ-ის სიმტკიცე“, — განაცხადა ტრამპმა იაპონიაში. თავის მხრივ, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ლიდერებმა აშშ-ს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს.

დონალდ ტრამპი აზიური ტურნეს ფარგლებში ეწვევა ასევე ფილიპინებს, ჩინეთსა და ვიეტნამს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში საკმაოდ დიდი დელეგაციით ჩავა. დელეგაციაში კი, ძირითადად, საქმიანი წრეების წარმომადგენლები და ეკონომისტები იქნებიან. ამის გარდა, ვიეტნამში, საერთაშორისო ფორუმზე, შესაძლოა, შედგეს შეხვედრა დონალდ ტრამპსა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შორის. შეხვედრისთვის მზადება ორივე ქვეყნის დიპლომატებმა დაადასტურეს. ტრამპის აზიური ვოიაჟის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჩრდილო კორეის საკითხის მოგვარებაა. მისი განცხადებით, ამ საკითხში პუტინის დიდი იმედი აქვს. როგორც ამბობენ, ორივე პრეზიდენტი ასევე განიხილავს სირიისა და მსოფლიოში არსებულ სხვა ცხელი წერტილების საკითხებს.

პოლიტოლოგების ნაწილი ტრამპ-პუტინის შეხვედრისგან დიდ შედეგებს არ ელოდება. აღნიშნავენ, რომ ისინი წლეულს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ დიდი ოცეულის სამიტზე, მაგრამ გაუმჯობესების ნაცვლად, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. თუმცა, პოლიტოლოგები აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ ვითარება ვაშინგტონში ტრამპის სასარგებლოდ იცვლება და, აქედან გამომდინარე, ორმხრივ დიალოგს შედეგიც მოყვებაო.

გასულ კირას აშშ-ში ერთბაშად ორი საზარელი შემთხვევა მოხდა. ნიუ-იორკის ცენტრში, მანჰეტენზე 8 ადამიანი მოკლა და 15 დააზარალა ტერორისტმა, რომელიც მანქანით შევარდა ველობილიკზე. მის საცხოვრებელ სახლში აღმოჩნდა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ატრიბუტები. როგორც გამოირკვა, ტერორისტი „გრინკარტით“ იყო შუა აზიიდან ჩასული ამერიკაში. დონალდ ტრამპმა მოითხოვა „გრინკარტების“ გათამაშების შეწყვეტა, ტერორისტის გუანტანამოს ციხეში გამწესება და, საერთოდ, სიკვდილით დასჯა. კვირას, ტეხასის შტატში, ბაპტისტურ ეკლესიაში ყოფილმა სამხედრომ 26 ადამიანი, მათ შორის, 2 წლის ბავშვი ჩაცხრილა. მკვლელი კი გაიქცა, მაგრამ გზაზე მკვდარი იპოვეს. მომხდარის გამო ტრამპმა გარდაცვლილების ოჯახებს იაპონიიდან მიუსამძიმრა.

გასულ კვირას, რუსეთის პრემიერ-მინისტრი მედვედევი ჩინეთში ვიზიტით იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის მთავრობის მეთაურებმა ოფიციალურად განაცხადეს, მსოფლიოში მხოლოდ ერთი ვალუტა არ უნდა დომინირებდესო. შეხვედრისას გადაწყვიტეს, რომ ურთიერთვაჭრობისას, თავდაპირველად, რამდენიმე დასახელებაზე ანგარიშსწორებას თავიანთ ეროვნულ ვალუტებში განახორციელებენ. სავარაუდოდ, ჩინეთში ჩასვლისას ტრამპს ამ საკითხზეც მოუწევს საუბარი.

„პუჩდემონის ცირკი“ დაარქვეს ბელგიელმა ჟურნალისტებმა კატალონიის ლიდერის მათ ქვეყანაში ჩასვლას. პუჩდემონმა ბრიუსელში ჩასვლისას ბრიფინგი გამართა პრესკლუბში. ჟურნალისტების გადმოცემით, ის შეშინებული გამოიყურებოდა. დარბაზში ჯერ დაცვის თანამშრომლები შეუშვა, ხოლო საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ თავად შევიდა. ჟურნალისტებს, ფაქტობრივად, იმედი გაუცრუა, რადგან კონკრეტულ საკითხებზე არ უსაუბრია, არც რაიმე ახალი უთქვამს.

ესპანეთის პროკურატურამ ამასობაში დაკითხა კატალონიის 9 მაღალჩინოსანი და 8 დააპატიმრეს ამბოხის ბრალდებით, ერთ მათგანს კი შიდა პატიმრობა შეუფარდეს. ესპანეთის პროკურატურამ ევროორდერი გადასცა ბელგიის ხელისუფლებას პუჩდემონისა და მისი 4 მინისტრის დაპატიმრებაზე. პუჩდემონი აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებლობას არ გაურბის, მხოლოდ ესპანეთის პოლიტიზირებულ სასამართლოს არიდებს თავს.

კარლოს პუჩდემონს ეყო გამბედაობა და შაბათს, ნებაყოფლობით, თავის მინისტრებთან ერთად, გამოცხადდა ბელგიის პოლიციაში. მოსამართლე მათ საკითხს 10 საათი განიხილავდა. საბოლოოდ მათ შიდაპატიმრობა მიუსაჯეს. ამასთან, მათ ეკრძალებათ ქვეყნის დატოვება და პერიოდულად უნდა გამოცხადდნენ პოლიციაში. ექსტრადიციის საკითხი შეიძლება ორ თვეს გაგრძელდეს. ამასობაში კი შესაძლებელია, ვითარება შეიცვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები ესპანეთის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, არ გამოეყენებინათ რადიკალური მეთოდები, მათ რეპრესიების გზა აირჩიეს. დაპატიმრებებმა მოსახლეობაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. კვირის დასაწყისში თითქოს დაწყნარდა სიტუაცია კატალონიაში, მაგრამ ქუჩის აქციები კვლავ განახლდა. პუჩდემონი იმასაც ამბობდა, რომ არ სურდა დაპირისპირება, მაგრამ მღელვარება კვლავ აგორდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხის მღელვარება კატალონიის ფარგლებს გასცდა. ბასკეთის ბილბაოში მრავალათასიანი საპროტესტო აქცია გაიმართა კატალონიაში კონსტიტუციის 155-ე მუხლის ამოქმედების გამო. მოკლედ, ესპანეთი აქციებმა მოიცვა — რიგრიგობით ზოგი დამოუკიდებლობისთვის გამოდის ქუჩაში, ზოგიც ესპანეთის ერთიანობის მხარდასაჭერად.

მსოფლიოს პოლიტიკოსებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა არაბეთის ქვეყნებში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. საუდის არაბეთში ერთბაშად რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის, 11 პრინცი დააპატიმრეს. მიზეზად კორუფცია დასახელდა. დაკავებულებს ბრალი იარაღით არალეგალურ ვაჭრობასა და „შავი“ ფულის გათეთრებაშიც წაუყენეს. ბევრისთვის, შესაძლოა, სიახლე არაფერია, რადგან საუდის არაბეთის წარმომადგენლებზე ადრეც საუბრობდნენ, რომ იარაღით არალეგალურად ვაჭრობდნენ. თუმცა დღემდე არავინ ინტერესდებოდა ამით. სავარაუდოდ, ახლა, როდესაც ქვეყანამ გააფორმა ორ უდიდეს ქვეყანასთან კონტრაქტი სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღის შეძენაზე, ვითარება სხვა განზომილებაში გადავიდა. ინფორმაცია არაბეთიდან ჯერ მწირია, ვნახოთ, შეიძლება მომავალში დაწვრილებით გავიგოთ სიმართლე.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 9 თვის შედეგები შეაჯამეს

საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაცია 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მიმდინარე წელს შემოსულობების გეგმა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ განისაზღვრა 13 711,4 ათასი ლარით. საბიუჯეტო ცვლილების შედეგად დამტკიცებული ბიუჯეტი 6 387,1 ათასი ლარი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 7 324,3 ათასი ლარით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე, ხოლო გადასახდელების ნაწილში 8 012,4 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსულობების ცხრა თვის გეგმა შეასრულა 93,5 პროცენტით: გეგმა იყო 4778,2 ათასი ლარი და ფაქტობრივი შესრულება 4470,0 ათასი ლარია.

სხდომაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზეც: გარე განათების ქსელი რიგ ადგილებში მოუწესრიგებელია, გასარკვევია საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდირების საკითხი, ბოლომდე არაა აღმოფხვრილი მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შედეგები, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ტექნიკა ამორტიზებულია, წიფაში გზის რეაბილიტაციის პროექტი შეჩერებულია.

„ხარჯების შემცირება შემოსავლების სიმცირემ განაპირობა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიმდინარე წელს დასრულდეს პროექტები და ნაკისრი ვალდებულებები შევასრულოთ. ფინანსთა სამინისტროდან უკვე მოვიძიეთ თანხები და საჭიროების შემთხვევაში მას გამოვიყენებთ“, განმარტა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა.

სხდომაზე მოწვეული იყო ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორი თემურ ფურცელაძე, რომელმაც დეპუტატთა კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს მხარი დაუჭირეს.

დედოფლისწყარო ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, არხში წყლის საპროექტო ხარჯის გატარების უზრუნველსაყოფად 56-კილომეტრიანი მონაკვეთი დანალექისგან იწმინდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება.

2012 წლიდან დღემდე კახეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 46 სარეაბილიტაციო პროექტი.

შედეგად, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 15 409 ჰექტრამდე, ხოლო დრენირებული 3924 ჰექტრამდეა გაზრდილი.

დღეისთვის შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით 49 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

ზუგდიდი საცხოვრებელი სახლები ხელმოკლე ოჯახებისთვის

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სახლების მშენებლობა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის. გამგეობა ადმინისტრაციულ ერთეულებში წლის ბოლომდე 27 საცხოვრებელ სახლს ააშენებს.

დღესდღეობით სახლები შენდება ჯუმსა და ნარაზენში.

ამ უმნიშვნელოვანესი პროექტისთვის პრიორიტეტული ოჯახები უსახლკარო და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიამ განცხადებების ადგილზე გადამოწმებისა და ოჯახების ანკეტირების შემდეგ გამოავლინა.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მუნიციპალიტეტის გამგეობის ექსკლუზიური პროექტია, რომლის განხორციელება 2015 წელს დაიწყო.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2015 წელს სპეციალური ჯილდო სწორედ ამ პროექტის განხორციელებისთვის გადაეცა.

ფოთი სამედიცინო ეტლები შშმ პირებს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთობლივი სოციალური აქციის ფარგლებში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ფოთელებს სამედიცინო ეტლები გადაეცათ. შშმ პირთათვის მსგავსი ერთობლივი სოციალური აქციები მომავალშიც გაიმართება.

„მერიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად, პერიოდულად ვახდენთ ჩვენს ქალაქში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სამედიცინო ეტლებით უზრუნველყოფას. დღეს გვქონდა მორიგი აქცია, რომლის ფარგლებშიც, ფოთში მცხოვრებ 16 შშმ პირს სამედიცინო ეტლები გადაეცათ“, განაცხადა ქალაქ ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ჩოჩიამ.

მისივე თქმით, ქალაქში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს ადგილობრივი ხელისუფლება სამედიცინო ეტლებით მომავალშიც დაეხმარება.

მარტვილი სოფელ კურზუში საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდა

პროექტის ფარგლებში 1 500 გრძივ მეტრზე ბეტონის საფარი დაიგო, ასევე მოეწყო გრუნტის კიუვეტი, გზის გადამკვეთი ლითონის მილები და ეზოში შესასვლელები.

გზის ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა. ახალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობის შედეგად მოსახლეობა უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას.

დასრულებული სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან ერთად დაათვალიერა.

საავტომობილო გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით განხორციელდა.

პროექტის ღირებულებამ 422 315 ლარი შეადგენა. სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „არქეოპოლისმა“ შეასრულა.

„ანაკლიის განვითარების კონსორსიუმმა“ პორტის მშენებლობის ნებართვა მიიღო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ საზღვაო ნავსადგურის I ფაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ საზღვაო და სახმელეთო სამშენებლო სამუშაოების ნებართვა მისცა (N201-04; 30.10.2017).

ამასთან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საფუძველზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გამოსცა (N77; 27.10.2017).

„აღნიშნული სამინისტროებისგან ნებართვების დროული მიღება საშუალებას გვაძლევს ასევე დროულად და ოპერატიულად დავიწყოთ პორტის სამშენებლო სამუშაოები. ამ ყველაფერს წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა. ჩვენ უამრავი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოვამზადეთ და თითოეული მათგანი დათქმულ ვადაში ჩავაბარეთ მთავრობას. ამჯერად ყველა საჭირო დოკუმენტი და ნებართვა არსებობს იმისთვის, რომ დავიწყოთ მშენებლობა და სამ წელიწადში ანაკლიის პორტში პირველი გემი მივიღოთ“, განაცხადა ანაკლიის განვითარების კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა 2017 წლის 20 დეკემბერს დაიწყება.

სენაკში სამხატვრო გალერეა აღადგინეს

სენაკის სამხატვრო გალერეის რეაბილიტაცია დასრულდა და საზეიმოდ გაიხნა. გახსნას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერ ლაშქარავა, გამგებლის მოადგილეები, მოწვეული სტუმრები, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია.

ძლიერი საქართველოსთვის

კულტურის უმნიშვნელოვანესი კერის აღორძინება გალერეის ფონდში დაცული ხელოვნების ნიმუშების გამოფენით აღინიშნა.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებულია შენობის ინტერიერი, განახლდა ფასადი, სრულად რეაბილიტირდა შენობის ორივე სართულზე არსებული სამუშაო სივრცე და სადემონსტრაციო დარბაზები. შეიცვალა ელგაყვანილობისა და წყალმომარაგების ქსელები, იატაკი, ჭერი და კარ-ფანჯრები. სამუშაოების ღირებულებამ, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდმა დააფინანსა, 126 080 ლარი შეადგინა.

1979 წელს აგებული გალერეის შენობა ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია. გალერეის ფონდში 300-ზე მეტი ფერწერული ტილო, ქანდაკება და გრაფიკული ნამუშევარია დაცული, მათ შორის აღსანიშნავია: ლ. გუდიაშვილის, ა. ვარაზის, გ. თოიძის, ვ. დუგლაძის, ფ. ლაპიაშვილის, გ. ა ალექსი-მესხიშვილისა და სხვათა ნამუშევრები.

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის ტურისტული პოტენციალი

არქეოლოგიური ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის ტურისტულ ზონად მოწყობის კონცეფცია წარადგინა. ოქტომბრის ბოლოს იტალიის ისტორიულ ქალაქ პესტუმში გამართულ ფორუმზე სააგენტოს მიერ მომზადებული პრეზენტაცია მონაწილეებს უწყების გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ გააცნო.

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული საიტის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენის საფუძველი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობილმა მასშტაბურმა საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო პროცესმა მისცა. ფიზიკური სამუშაოების შედეგად, რომელიც მე-4 წელია მიმდინარეობს, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი საერთაშორისო სტანდარტის ტურისტული მიმზიდველობის ადგილად იქცევა. პესტუმის არქეოლოგიური ტურიზმის გამოფენაზე მისმა წარდგენამ კი მნიშვნელოვანწილად გაზარდა საერთაშორისო ინტერესი.

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი ქართული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლია, სადაც შთამბეჭდავი ბუნებრივი ლანდშაფტის 20 ჰექტარზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქალაქო ტიპის დასახლება იყო გაშენებული. კავკასიაში დღემდე შემორჩენილ ანტიკური პერიოდისა და ადრეშუასაუკუნეების ძველ ქალაქებს შორის ნოქალაქევი ერთადერთია, სადაც ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო ინფრასტრუქტურის ყველა კომპონენტია შენარჩუნებული.

პესტუმის არქეოლოგიური ტურიზმის გამოფენა მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ინსტიტუციების UNESCO, UNWTO და ICCROM მონაწილეობით, 1998 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება. ფორუმი ქმნის უნიკალურ პლატფორმას, რომ გამორჩეული არქეოლოგიური ძეგლები საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩნდეს და ტურისტულ მარშრუტებში ჩაერთოს.

ჩხოროწყუობა-2017

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გაიმართა ქალაქის ხალხმრავალი დღესასწაული, რომელიც დილის 11 საათზე საზეიმო მსვლელობით დაიწყო. გახსნის ცერემონიაზე საპატიო ჩხოროწყუელები დააჯილდოვეს. ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, აგრეთვე სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიება, რასაც ტრადიციული სახალხო სეირნობა მოჰყვა. დღის ბოლოს გამართულ გალაკონცერტში მონაწილეობდნენ მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლები (გორის ქალთა კამერული ანსამბლი და ანსამბლი „კავკასიონი“).

სოფელ ხაბუმეში, მოდინახეს უბანში ახალი საბავშვო ბაღის გახსნა ადგილობრივებს მუნიციპალიტეტისა და გუბერნიის ხელმძღვანელობამ მიულოცა.

ბორჯომი 3 წლის სოციალური პროგრამების შეჯამება

მონაცემების მიხედვით, 2015, 2016, 2017 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 მილიონ 602 400 ლარია დახარჯული. თანხა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 16 სოციალური პროგრამის განხორციელებისთვის გამოყო.

ამ თანხიდან 2 მილიონ 491 600 ლარით დაფინანსდა სტაციონარული მომსახურება, 791 500 ლარი კი მედიკამენტებით მომსახურებას მოხმარდა.

3 მილიონ 293 100 ლარით დაფინანსდნენ 4- და მეტშვილიანი ოჯახები, შშმ პირები, გამოჩენილი ადამიანები, ახალდაქორწინებულები, ახალშობილები, 100 წელს გადაცილებულები, დედ-მამით ობოლი ბავშვები და ა.შ.

ბორჯომში მოქმედი სოციალური პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპეციალურად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის შეიქმნა, მისი მიზანია გამგეობამ დახმარება გაუწიოს როგორც სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, ისე მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მცხოვრებს.

წალენჯიხა სამედიცინო პროგრამები უფასო გახდება

შიდსის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მართვა-გამოვლენის მიზნით ხორციელდება პროექტი, რომელიც მოიცავს უბნის ექიმებისა და ოჯახის ექიმების გადამზადებას.

ამ პროექტთან დაკავშირებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელთან სტუმრად იმყოფებოდნენ სამედიცინო ტრენინგცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში C ჰეპატიტის გამოვლენის შემდეგ ყველა პაციენტის მკურნალობა გახდება სრულიად უფასო და მას სახელმწიფო დააფინანსებს.

2018 წლის დასაწყისიდან ჩატარდება სპეციალური ტრენინგები უბნისა და ოჯახის ექიმებისთვის.

ტისთვის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რასაც ბოლო სამ წელიწადში ამ პროგრამების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელებაც ადასტურებს.

რუსთავი – გზების კეთილმოწყობა

2017 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რუსთავში, შიო არაგვისპირელის ქუჩაზე, ტურგენევის ქუჩის გასასვლელებსა და ტაბიძის ქუჩის დამაკავშირებელ მონაკვეთზე გზის საფარის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. დღეისთვის, ტერიტორიაზე ეწყობა სანიაღვრე ქსელები და ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები ასფალტის დასაგებად.

გზის საფარის კაპიტალური შეკეთება გრძელდება ჭყონდიდელის დასახლებაში, გრანელის ქუჩაზე და ძველ რუსთავში, გომელაურის, ფიროსმანის, მშენებელთა, დავით გარეჯის, რუსთაველის, მაიაკოვსკისა და სარაჯიშვილის ქუჩების შიდა ეზოებში. სამუშაოების ფარგლებში ეწყობა სანიაღვრე ქსელები და ტროტუარები, მიმდინარეობს დაზიანებული საფარის მოხსნა და ტერიტორიის მომზადება ასფალტის დასაგებად.

პარალელურად, ქალაქის სხვადასხვა უბანში, მათ შორის მე-7 მიკრორაიონის №5, №6 და №10 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ, მიმდინარეობს სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, ცურტაველის ქუჩაზე კი №10 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა. თანამედროვე სტანდარტებისა და დიზაინის ორსართულიან შენობაში 6 სააღმზრდელო ჯგუფი გაიხსნება.

2017 წელს, რუსთავში, ჯამში, 11,5 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. აქედან, სამუშაოებისთვის 8 მლნ ლარი ცენტრალური ბიუჯეტიდან იხარჯება.

ბოლნისის ქუჩების კეთილმოწყობა

ქალაქ ბოლნისის ცენტრალურ ქუჩაზე ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. განახლებულმა საგზაო ინფრასტრუქტურამ ქალაქის იერსახე დაამშვენა.

პროექტის ფარგლებში ძველი ფილების დემონტაჟის შემდეგ ადგილობრივი ბაზალტის ფილები დაიგო. ტროტუარის გასწვრივ განახლდა თანამედროვე დიზაინის გარე განათება, რომელიც ლედ-ნათებებით აღიჭურვა.

ახალი საბავშვო ბაღი ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში

ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში 30 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. ამორტიზებული შენობა ერედვის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით რეაბილიტირდა, ხოლო ბაღი საჭირო ინვენტარით დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ აღჭურვა.

საბავშვო ბაღის გახსნას გუბენატორის პირველი მოადგილე იოსებ ოქრომელიძე, გორის ახლად არჩეული მერი კონსტანტინე თავზარაშვილი, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოთარ ცოტნიაშვილი და სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი უჯმაჯურიძე დაესწრნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მშობლებსა და ბავშვებს ახალი ბაღის გახსნა მიულოცეს. საბავშვო ბაღში ხურვალეთში მცხოვრები დევნილები დასაქმდებიან.

სამსონ სამჭკუაშვილის ბლოგი

— კტო ეტო პოსტრადავში, პერვი რაზ ვიჟუო, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მეგის ქარდავას დანახვისას.

— რას ჰქვია, პერვი რას ვიჟუ? აგერ შენ და შენს გვერდიტ მეგისა ავტომატით ხელში, აგერ ისევ მეგისა და შენ, ღირსების ორდენით რომ აჯილდოებ, აქაც შენ და მეგისი... აბა, კარგად დაძაბე გონება და გაიხსენე, — ფოტოების მთელი დასტა უფრიალა ფსიქიატრმა მიშას ცხვირწინ, ის კი მაინც ჯიუტად იმეორებდა: — არ მახსოვს, ვერ ვიხსენებ, პირველად ვხედავო.

ისე გულწრფელად, ისე ალალად ამბობდა ამას მიხეილი, რომ ფსიქიატრი შეეჭვდა — აქ რაიმე სხვა შემთხვევასთან ხომ არ გვაქვს საქმეო და გაჯიუტებულ მიშას წინ ვანო მერაბიშვილის სურათი დაუდო — აბა, მითხარი, ეს კაცი ვინ არისო?

მიშამ დიდხანს ატრიალა წაღმა-უკუღმა ვანოს სურათი და, — ამასაც პირველად ვხედავო, — განაცხადა.

— პირველად როგორ ხედავ, კაცო, შენი მინისტრი იყო, შინაგან საქმეთა მინისტრი, — გაბრაზდა ფსიქიატრი.

— რა მინისტრი, რისი მინისტრი? თქვენ ცოტა ხომ არ გაჟუილებთ, პატივცემულოო, — მკვახედ მიუგო მიშამ ექიმს და სურათი ხელუკუღმა მოისროლა.

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, დაწყნარდი და მოდი, ახლა ეს ფოტო ნახე... ვარიანტი არ არის, ამ ადამიანს არ იცნობდე, შენი უახლოესი მეგობარი იყო, შენი მარჯვენა ხელი, — ფსიქიატრმა მიშას ზურაბ ადეიშვილის ფოტო გაუწოდა.

— რა შეშინებულ ვირთხას ჰგავს... ვინ არის ეს უბედური? საიდან უნდა ვიცნობდე, ამასთან რა საერთო შეიძლება მქონდეს? მე თქვენ ვინმეში ხომ არ გეშლებითო, — მთლად გადაირია მიშა.

— ზურაბ ადეიშვილია ეს კაცი, ჯერ გენერალური პროკურორი იყო, მერე იუსტიციის მინისტრი, მთელი ცხრა წელი გვერდიდან არ მოგშორებია და როგორ არ გახსოვს?

— არ მახსოვს და მომკალი ახლა...

— ეს მინისტრი იყო, შენ პრეზიდენტი იყავი...

— რას ჰქვია პრეზიდენტი ვიყავი? ვიღაცაში გეშლები... აბა, ახლა შენ დამაკვირდი კარგად და მითხარი, ვინ ვარ მე?

— ვინ ხარ და შენ ხარ მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი.

— ხომ გითხარი, ვიღაცაში გეშლები-მეთქი... არავითარი პრეზიდენტი მე არ ვყოფილვარ და მით უმეტეს, არასდეს არ ვყფოფილვარ საქართველოს პრეზიდენტი. მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ — არასოდეს არ ვყოფილვარ საქართველოს პრეზიდენტი! ოდესის გუბერნატორი ვიყავი ცოტა ხანს, ესაა და ეს... ახლა კი მიბრძანდით აქედან, სეანსი დამთავრებულია, მე თქვენთან საუბრის გაგრძელება არ მსურს! აქვე იმასაც გეტყვით, რომ თქვენ ხართ ცილისმწამებელი, პარაშენკოს მიერ შემოგზავნილი პროვოკატორი, საქართველოს პრეზიდენტობას იმიტომ მაბრალებთ, რომ ჩემი დაჭერა გინდათ, მაგრამ ვერ მოგართვით! — სააკაშვილმა მრისხანედ დაუბრიალა თვალები გაოგნებულ ფსიქიატრს და ორმეტრიანი ნაბიჯებით კარებისკენ გაემართა.

იმ ღამეს ფსიქიატრს არ უძინია.

გამთენიისას მაგიდას მიუჯდა და სამედიცინო დასკვნა დაწერა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს დასკვნიდან, რომლის ტექსტიც სამედიცინო ტერმინოლოგიისგან შეძლებისდაგვარად გავათავისუფლეთ, რომ მკითხველს დასკვნის შინაარსის გაგება გაადვილებოდა:

„პაციენტ მ.ს.-ს აღენიშნება გართულებული ფორმის შიზოფრენია-პარანოიის მოვლენები, რომელსაც თან ერთვის მეხსიერების დაკარგვის სომპტომები.

პაციენტს არ ახსოვს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები, მაგალითად, არ ახსოვს, რომ ის ცხრა წლის განმავლობაში ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტი იყო.

პაციენტი ასევე ვერ იხსენებს ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში მისი უახლოესი მეგობრები და თანამშრომლები იყვნენ.

ყოველივე ამას ფსიქიატრიაში შემდეგი ახსნა აქვს — ადამიანს, რომელმაც ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ჩადენილის გამო პასუხისმგებლობის შიშის ნიადაგზე, შეიძლება მახსოვრობის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა დაემართოს.

ეს ის შემთხვევაა, როცა განგაშის რეჟიმში გადასული თავდაცვის ინსტინქტი აიძულებს ტვინს, მისი უჯრედებიდან პირწმინდად ამოშალოს ის ინფორმაციები, რომლებიც პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან არის დაკავშირებული.

ფსიქიატრიის და კრიმინალისტიკის ისტორიაში არის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოდგება.

პირი, რომელმაც ოჯახის წევრები ამოხოცა, კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ეს შემზარავი დანაშაული მას არ ჩაუდენია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უამრავი უტყუარი სამხილი, არსებობდნენ მოწმეები, დამაშავე მაინც ჯიუტად იმეორებდა, რომ ამ ამბავთან არანაირი შეხება არ ჰქონდა.

საქმეში სიცრუის დეტექტორი ჩართეს, თუმცა ფსიქიატრების და კრიმინალების გასაოცრად, დამნაშავემ შემოწმება წარმატებით გაიარა.

სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ განსასჯელის ტვინიდან ამოშლილი იყო ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ის კი არ ატყუებდა სიცრუის დეტექტორს, მას მართლაც არ ახსოვდა, რა ჩაიდინა იმ ღამეს, რადგან ის „ფაილი“, სადაც ამ კოშმარული ღამის ამსახველი კადრები ინახებოდა, წაიშალა.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაციენტს მ.ს.-საც იგივე უბედურება სჭირს — ჩადენილ დანაშაულებათა გამო პასუხისმგებლობის ცხოველურმა შიშმა „ფაილები“ გადაუწვა“.

●

ფსიქიატრმა ფანჯარა გამოაღო და ცას ახედა.

თენდებოდა.

ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა აღმოსავლეთით — თითქოს ღმერთი დაჰყურებდა ცოდვით სავსე დედამიწას.

ფსიქიატრის გონებაში პაციენტ მ.ს.-სთან ერთად ერთბაშად ამოტივტივდა დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული სხვა პაციენტები, რომლებიც ავადმყოფობის სიმძიმით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მ.ს.-ს, მაგრამ დიდი თუ პატარა სახელმწიფოების მეთაურები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები იყვნენ და მილიონობით ადამიანის ბედს განაგებდნენ.

— შეშლილებმა დაიპყრეს დედამიწა! ღმერთო, გვიშველე და გადაგვარჩინე! — გაიფიქრა ფსიქიატრმა, პირჯვარი გადაიწერა, ფანჯრები მიხურა და სქელი, შუქგაუმტარი ფარდები ჩამოუშვა.



მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

სამხრეთ ამერიკული ლეგენდების მიხედვით, ციდან მოსულმა არსებებმა ასწავლეს ინდიელებს მიწის დამუშავება და ბევრი სხვა რამ, შემდეგ კი მაღალი მთებიდან გაუჩინარდნენ;

ძველ ინდურ და ტიბეტურ წიგნებში აღწერილია მფრინავი ობიექტის მოწყობილობა, რომელსაც ინდუსები „აგნი ხოტრას“ უწოდებენ; („მაჰაბჰარტას“ ეპოსში გადმოცემულია ცოდნა გალაქტიკების შესახებ)

მაიას ტომის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია კედელზე გამოსახული აერონავტი კაბინაში, რომლის მსგავსი



გამოსახულებაა ნასკას უდაბნოშიც;

კელტების ლეგენდები გვიამბობენ ეტლზე, რომელშიც რკინის ცხენი იყო შებმული ღმერთების სახლში ასასვლელად;

ერთი ერთზეა თანამედრო სკაფანდრიანი ადამიანისა და ასევე სკაფანდრიანი „ვიღაცის“ ეკვადორული სტატუა;

ვიღაცას თვითმფრინავიც გამოუსახავს ჩვ.წ.აღ-მდე 500–800 წლის წინ;

მფრინავი ობიექტისა და აერონავტის გამოსახულება აღმოჩენილია ეგვიპტეშიც, სადაც ფრთიანი დისკოს კულტი ჰქონდათ და ფლობდნენ ინფორმაციას, რომ ციდან ჩამოსულებმა იხსნეს დედამიწაზე სიცოცხლე, გადაარჩინეს (შეაჩერეს) განადგურებისგან. ყველაზე თვალსაჩინო და ამოუცნობი სწორედ ეგვიპტური ნახატები, ძეგლები და ბარელიეფებია, სადაც ჩვეულებრივი ადამიანების გვერდით გიგანტური არსებები არიან გამოსახული, რომლებიც გვევლინებიან პირველი ფარაონების, ან სულაც „ციდან“ მოვლენილი ღმერთების სახეებად, რომლებმაც ადამიანებზე ბატონ-პატრონობა იტვირთეს, ასწავლეს მათ სხვადასხვა მეცნიერებები.

კვლავ სიცრუე, კვლავ გაყალბება!

გეოგრაფიისა და ისტორიის სახელმძღვანელოები ბავშვობიდან გვასწავლიან, რომ ამერიკის კონტინენტი ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა, თუმცა, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ადმირალ პირის რეისის ციდან გადაღებულ რუკაზე. საუბარია იმ დროზე, როცა აეროგადაღება ფანტაზიაშიც კი არ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ რუკაზე ასახულია მდინარე ამაზონი, ანდები, ფოლკლენდის კუნძულები, ვენესუელის ყურე და ჯერ კიდევ გაუყინავი ანტარქტიდა, რომელიც ხმელეთით უკავშირდებოდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტს.

სწორედ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე აღმოაჩინეს პატარა ზომის უძველესი ქანდაკებები, რომლებიც გამოსახავენ დედამიწის ყველა რასის და ეროვნების წარმომადგენლებს, მათ შორის კავკასიელებსაც. თუნდაც ამ მცირე ინფორმაციებს თუ შევაერთებთ, აღმოჩნდება, რომ ატლანტისა და წყნარ ოკეანეში მართლაც რომ უხსოვარი დროიდან ხდებოდა ამერიკის კონტინენტის მიმართულებით რაღაც საშუალებებით გადაადგილება და შესაბამისად, არაფერი ჰქონდა აღმოსაჩენი, არასდროს არსად დაკარგულა, ყოველთვის აღმოჩენილი იყო...

რეალურად, კოლუმბი არ არის ამერიკის კონტინენტის აღმომჩენი ევროპელი თუნდაც იმიტომ, რომ მან ვერ მოახერხა ახალი კონტინენტის იდენტიფიცირება. თვით მოგზაურის ჩანაწერები გვამცნობს, რომ ის ამერიკის კონტინენტს აზიის აღმოსავლეთ სანაპიროდ თვლიდა. სწორედ ამიტომ ეწოდა კონტინენტს ამერიგო ვესპუჩის სახელი, რადგან მან სწორად აღიქვა სად იმყოფებოდა, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ კოლუმბამდე 500 წლით ადრე ამერიკის კონტინენტზე სულაც ნორვეგიელმა მოგზაურმა ლერიფ ერიქსონმა შეძლო ფეხის დადგმა?

(სხვათაშორის, რის გამოც ქრისტეფორე კოლუმბს მოგზაურობების დაფინანსება უჭირდა, არ იყო ის, რომ მაშინ დედამიწა ბრტყელი ეგონათ. რეალურად, იმ პერიოდის ხალხმა პლატონისა და არისტოტელეს წყალობით უკვე იცოდა, რომ პლანეტას სფეროს მსგავსი მოყვანილობა ჰქონდა, ისინი, მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ მის მოსაზრებას ინდოეთამდე მანძილის შესახებ, რომელიც რეალური ზომის მეექვსედს წარმოადგენდა. ამერიკის კონტინენტები რომ არ არსებულიყო, კოლუმბი ვერ მიაღწევდა ინდოეთამდე საკვების უკმარისობის გამო. გარდა ამისა, მაშინ ზღვაში გრძედების გამოთვლის პრობლემაც იყო, რაც მხოლოდ მე-18 საუკუნეში აღმოიფხვრა.)

რომელ კოლუმბსა და ვესპუჩზეა საუბარი, როდესაც ბერძენი მწერალი ფეოპომპი (დაიბადა ძვ.წ. აღ-ით 380 წელს) წერდა: „ევროპა, აზია და ლიბია (იმ დროისთვის — აფრიკა) არის კუნძულები, რომელსაც გარს ოკეანე არტყავს, ხოლო მის მიღმა არის დიდი კონტინენტი, რომელიც ერთი ბოლოდან მეორემდე შორ მანძილზე არის გადაჭიმული.“ რადგან იმ დროს, როდესაც ძველი ბერძნები ცხოვრობდნენ, ატლანტიდა აღარ არსებობს, მაშასადამე, საუბარია ამერიკის კონტინენტზე.

არისტოტელე წიგნში „საოცარი ისტორიები“ წერდა: „ამბობენ, ჰერაკლეს სვეტების გადაღმა კართაგენელების მიერ ნაპოვნი იყო კუნძული, რომლის ტყეებში ყველანაირი ხეები იზრდებოდა და შესანიშნავი ხილი იყო. იქ იყო სანავიგაციო მდინარეები, ხოლო კუნძული ბევრი დროის სავალზე იმყოფება. როდესაც კართაგენელებმა დაინახეს იქ ვაჭრები და სხვა ადამიანები, რომლებიც ნაყოფიერმა მიწებმა ჩაიყვანა ამ ადგილზე, დაიწყეს ამ ადგილების ხშირი სტუმრობა, ხოლო ზოგიერთები საერთოდაც იქ დასახლდნენ. მათ ეშინოდათ, რომ ამ კუნძულის შესახებ სხვა ხალხებიც გაიგებდნენ და დიდი გადმოსახლება დაიწყებოდა, ხოლო კართაგენის იმპერია დიდ ზარალში ჩავარდებოდა. ამიტომ, გადაწყვიტეს ახალი აღმოჩენა საიდუმლოდ შეენახათ.“

არისტოტელეს შემდეგ ამერიკის კონტინენტის შესახებ საუბრობდა ანტიკური სამყაროს ყველაზე ცნობილი ორატორი, ციცერონი. მისი თქმით, რომაელებმა ამერიკის კონტინენტის შესახებ არაბებისგან გაიგეს — საუბარი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამდე რამდენი ხნით ადრეა?

როგორ აღმოაჩინეს კართაგენელებმა დღევანდელი ამერიკის კონტინენტი?

XVII საუკუნეში ესპანელი მეცნიერი მარიანუს დე ორსელარა მანუსკრიპტებზე დაყრდნობით წერდა, რომ ფინიკიელებმა ამერიკის კონტინენტი ძვ.წ. აღ371 წელს აღმოაჩინეს. იმ დროს რომსა და კართაგენს შორის ომი იყო გაჩაღებული. კართაგენელების ნაწილმა, იგრძნო რა მოსალოდნელი დამარცხება, გადასახლდნენ ამერიკის კონტინენტზე. მათგან ზოგი სპეციალურად დაბრუნდა ევროპის კონტინენტზე ხმის გასავრცელებლად, რომ მათი თანამემამულეები დაიხოცნენ. მხოლოდ ასეთი ხმების გავრცელების შემდეგ შეეძლოთ ახალ მოსახლეებს მშვიდად ცხოვრება ახალ კონტინენტზე.

ამ მოვლენების შესახებ ესპანელი ისტორიკოსი წერდა: „ამ ხმების გავრცელების შემდეგ კართაგენის სენატმა გადაწყვიტა საიდუმლოდ შეენახა ინფორმაცია ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შესახებ, რათა ხანგრძლივი ომით დაღლილი ხალხი კართაგენიდან ახალ აღმოჩენილ მიწაზე არ გადასულიყვნენ. ხოლო ისინი, ვინც ამბავი მოიტანეს ახალი მიწების შესახებ, დახოცეს.“

თუ არისტოტელე და სხვანი სამართლეს წერდნენ კართაგენელების დასახლებაზე ახალ კონტინენტზე, იქ რაიმე კვალი უნდა დარჩენილიყო და დარჩა კიდეც. კოლუმბამდელი პერიოდით დათარიღებულ ერთ-ერთ საფლავში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რომაელი მებრძოლის ქანდაკების თავი, რომელიც ძვ.წ. აღ II საუკუნეს ეკუთვნის.

რაც შეეხება აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთიდან გადასახლებულებს — ისინი არ შეერევნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათ შექმნეს სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ინკების იმპერიას ვუწოდებთ. ამ იმპერიის დედაქალაქი კუსო დღემდე არსებობს და მის თავზე დღესაც ფრიალებს ინკების შვიდფერიანი დროშა. კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობა ინკებს უცხო მიწებიდან მოსულებს უწოდებდნენ. გარდა ამისა, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ისინი სრულიად სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და შედარებით ღია ფერის კანის ფერითაც გამოირჩეოდნენ. ინკები სხვა ტომის წარმომადგენლებთან ურთიერთობას ერიდებოდნენ და ქორწინებაც მხოლოდ ინკებს შორის იყო დაშვებული. ისინი, როგორც კართაგენელები, მხოლოდ ერთ ღმერთს, მზეს აღიარებდნენ და მას თავიანთ ზეციურ მამად მიიჩნევდნენ.

აღსანიშნავია ინფორმაცია ფარაონ რამზეს II-ს შესახებაც, რომ იგი თამბაქოს (სიგარებს) და გამაბრუებელს (მსუბუქ ნარკოტიკს) რეგულარულად იღებდა დღევანდელი ცენტრალური ამერიკის ტერიტორიიდან...

ამდენი უცნაური ნივთისა და გამოსახულების აღმოჩენის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვები, უპირველესად: ვინ იყვნენ მათი შემქმნელები? ნუთუ, იმ გონიერი ადამიანების არც ერთი გამოსახულება არ არის შემონახული, რომლებიც მილიონობით წლის უკან ცხოვრობდნენ?

(გაგრძელება იქნება)

ცნობილი ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს

სამწუხარო სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყოველ 40 წამში ერთი ადამიანი საკუთარი ნებით ეთხოვება სიცოცხლეს. ზოგჯერ, მას მეზობლებიც არ იცნობენ, ზოგჯერ კი თვითმკვლელობის მსხვერპლი ყველასთვის ცნობილი, სახელოვანი ადამიანია. თვითმკვლელობამდე მისვლის მიზეზი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა, სამწუხარო შედეგი კი ყველასთან ერთი..

ცნობილი მწერლის, მხატვრის, რეჟისორის, მსახიობის თუ პოლიტიკური მოღვაწის თვითმკვლელობა საზოგადოებაში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებას იქცევს, რადგან ფიქრობენ, რომ ცნობილი და მდიდარი ადამიანი აუცილებლად ბედნიერი უნდა იყოს. სინამდვილეში, ასეთი ადამიანები ხშირად დეპრესიით ან სულიერი აშლილობის სხვა ფორმებით იტანჯებიან. ზოგჯერ, დეპრესია უმიზეზოდ ჩნდება, ზოგჯერ კი მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება შინაგანი დისკომფორტი, ემოციური ტრამვა, სიბერის შიში, ახლობლების დაკარგვა და ფიზიკური თუ სულიერი უმწეობის განცდა გახდეს.

გენეტიკური კვლევების თანახმად, ხელოვანი ადამიანები სხვებთან შედარებით, 25%-თ მეტად არიან მიდრეკილი ემოციური დაავადებებისა და ფსიქიური აშლილობებისკენ. თუმცა, განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ალბერტ როტენბერგი ხელოვნებასა და ფსიქიკურ დაავადებებს შორის კავშირს უარყოფს: „ასეთი შეხედულებები მე-19 საუკუნის რომანტიზმის გავლენაა, როცა ყველა მხატვარს საკუთარი დემონი ჰყავდა“ — განაცხადა მეცნიერმა.

ქრისტიანული რელიგია თვითმკვლელობას უდიდეს ცოდვად მიიჩნევს. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში თვითმკვლელებს ცალკე სასაფლაოებზე, ყველასგან მოშორებით მარხავდნენ. ამის მიზეზი შეიძლება ბიბლიაში ამოვიკითხოთ, სადაც წერია, რომ ქრისტეს გამცემმა იუდა ისკარიოტელმა სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.



1. პითაგორა (ძვ.წ. 580–500)

ცნობილი ბერძენი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის ცხოვრება და გარდაცვალება ლეგენდებითა და იდუმალების ბურუსით არის მოცული. ერთ-ერთი ვერსიით, პითაგორა და მისი ორმოცი მოწაფე ქვემო იტალიაში, ერთ-ერთი სამოქალაქო ომის დროს დაიხოცნენ, მეორე ვერსია კი გვამცნობს, რომ ბერძენი ფილოსოფოსი ორმოცდღიანი ნებაყოფლობითი შიმშილის შედეგად გარდაიცვალა.

2. კლეოპატრა (ძვ.წ 69–ძვ.წ 30)

ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი ქვეყნის უკანასკნელი დამოუკიდებელი მმართველი გახლდათ, სანამ ეგვიპტეს რომის იმპერია დაიპყრობდა და თავის ერთ-ერთ პროვინციად აქცევდა. კლეოპატრა ამაყი ქალი იყო და რომის იმპერატორს ოქტავიანე ავგუსტუსს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი სიკვდილის გარემოებებზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, მან შხამიან კობრას მკერდზე კბენის საშუალება მისცა.

3. ვინსენტ ვან გოგი (1853–1890)

ჰოლანდიელი ფერმწერი და გრაფიკოსი ეპილეფსიით, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით

და შოზოფრენიით იტანჯებოდა. დღეს ვან გოგის სურათები შედევრებად ითვლება და უზარმაზარი ფასი ადევს, თუმცა თავად მხატვარმა მეტ-ნაკლებად ნორმალურ ფასად, მხოლოდ ერთი სურათის „წითელი ვენახები არლში“ გაყიდვა მოახერხა. იმის იმედით, რომ სამხრეთ საფრანგეთის მშვიდი და ზომიერი ცხოვრება სულიერ სიმშვიდეს მოუტანდა, სიკვდილამდე ორი წლით ადრე, ვან გოგი საცხოვრებლად არლიში გადავიდა. ერთხელ, მას სტუმრად მეგობარი და ასევე, უდიდესი მხატვარი პოლ გოგენი ეწვია. ცოტა ხანში, მხატვრებს შორის ჩხუბი ატყდა. ვან გოგმა სტუმრის სამართელბლით მოკვლა სცადა, თუმცა გოგენმა გონებადაბინდული მეგობრის შეჩერება შეძლო. როცა საკუთარი დანაშაული გააცნობიერა, ვან გოგმა ყურის ბიბილო მოიჭრა. მხატვარი სენ-რემის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. მკურნალობამ თითქოს შედეგი გამოიღო, მაგრამ 1890 წლის 27 ივლისს, სეირნობის დროს მან ყვავების დასაფრთხობად ნაყიდი რევოლვერიდან გასროლით თავი მოიკლა.

4. ზიგმუნდ ფროიდი (1856–1939)

ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი და ფსიქოანალიზის ფუძემდებელი, რომლის სწავლებამ ბევრი ადამიანი გაუზრებელი ქმედებისგან იხსნა და ამაში გასაკვირი არაფერია. გამოცდილი ფსიქოანალიტიკოსები ადამიანებს შინაგანი განცდების დაძლევაში და რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში ეხმარებიან. ფსიქოანალიზის რეპუტაციისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა, ფროიდის პაციენტებს რომ ცოდნოდათ, რომ მათი მკურნალი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა. თუმცა, ფროიდს თვითმკვლელობისთვის „საპატიო მიზეზი“ ჰქონდა. ის ათი წლის მანძილზე პირის ღრუს კიბოთი იტანჯებოდა. 1923 წლიდან მოყოლებული, დაავადების შესაჩერებლად, 33 ოპერაცია გადაიტანა და ხახის პროთეზიც ჩაიყენა. პირის ღრუსთან დაკავშირებულმა სიმსივნურმა პროცესებმა მისი ხმა ძალიან დაასუსტა, ამიტომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ლექციების წაკითხვას და ფსიქოთერაპიის სეანსების ჩატარებას ველარ ახერხებდა. აუტანელი ტკივილებისგან დატანჯულმა მეცნიერმა მკურნალ ექიმს მორფის სასიკვდილო დოზის გაკეთება თხოვა, რომელმაც ფროიდის ასაკისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი უკანასკნელი სურვილი დააკმაყოფილა. ზიგმუნდ ფროიდი 1939 წლის 23 სექტემბერს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა



5. ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893–1930)

რუსი პოეტი, დრამატურგი და რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვლადიმერ მაიაკოვსკი 1916 წელს საყვარელ ქალს ლილია ბრიკს წერდა: „И в пролет не брошусь, и не

выпью яда, и курок не смогу над виском нажать / Надо мною, кроме твоего взгляда, не властно лезвие ни одного ножа“, თუმცა 14 წლის შემდეგ, ლექსით მიცემული პირობა გატეხა. ხელოვნებაში კრიზიულმა პერიოდმა, მარტოობამ და სოციალური თუ პირადი ხასიათის დაღლილობამ მაიაკოვსკი იქამდე მიიყვანა, რომ 1930 წლის 14 აპრილს გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა და ჩახმახს თითი გამოჰკრა..

6. სერგეი ესენინი (1895–1925)

„გამოუსწორებელი ხულიგნის“ სახელით ცნობილი 30 წლის რუსი პოეტი, რომლის ცხოვრება სავსე იყო ალკოჰოლით, ქალებით და სკანდალებით, 1925 წლის 28 დეკემბერს ლენინგრადის სასტუმრო „ანგლეტერში“ გარდაცვლილი ნახეს. მაიაკოვსკის მსგავსად, საქართველოში დაბადებულ სერგეი ესენინს მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი და დევნის მანია

ჭირდა. ახასიათებდა მოულოდნელი გამძვინვარება, რა დროსაც საჯაროდ ამტვრევდა ავეჯს და ილანძღებოდა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ესენინმა ოთხჯერ მოასწრო დაქორწინება, თუმცა სამ წელზე მეტი არც ერთ მეუღლესთან გაჩერებულა. სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, პოეტმა ფსიქიატრიული კლინიკა დატოვა, ამიტომ მისმა სიკვდილმა საზოგადოებაში უამრავი კითხვა გააჩინა. ერთი ვერსიით, დეპრესიისა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პოეტმა ცენტრალური გათბობის მილზე თავი ჩამოიხრჩო. ამბობენ, რომ ესენინის უკანასკნელი ლექსი „ნახვამდის ჩემო მეგობარო“ პოეტის სისხლით დაიწერა, რადგან იმ დროისთვის, სასტუმროს ნომერში მელანი არ იყო.

7. ადოლფ ჰიტლერი (1889–1945)

გერმანიის ნაცისტური პარტიის ლიდერი, ჰოლოკოსტისა და მეორე მსოფლიო ომის მთავარი ინიციატორი ისტორიაში შევიდა, როგორც მილიონობით ადამიანის მკვლელი და ხორცშესხმული ბოროტება. მისთვის ყველაზე ჰუმანური სასჯელი სიკვდილით დასჯა იქნებოდა, მაგრამ დიქტატორი, რომელიც მსოფლიოს შიშის ზარს სცემდა, ლაჩარი აღმოჩნდა. ომის დამთავრებამდე რამდენიმე კვირის მანძილზე ფიურერი რაიხსკანცელარიის ბუნკერიდან არ გამოდიოდა. 1945 წლის 30 აპრილს მას მოახსენეს, რომ ბერლინის გარნიზონი განადგურებულია და

მოკავშირეთა ჯარები მალე ქალაქში შევლენ. ამის შემდეგ, ფიურერი ცოლთან ერთად, ოთახში ჩაიკეტა, ცეცხლსასროლი იარაღის ლულა პირში ჩაიდო და გაისროლა. ევა ბრაუნმა კი სიცოცხლესთან განშორება ციანიდით არჩია. იგივე ბედი ეწია დიქტატორის საყვარელ ძაღლს, ბლონდის. ჰიტლერთან მსგავსად, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს ნაცისტური გერმანიის სხვა ოდიოზურმა პერსონებმა. ჰაინრიხ ჰიმლერი ბრიტანეთის ჯარებმა 21 მაისს, დანიის საზღვრის გადაკვეთის დროს დაიკავეს, თუმცა მისი გასამართლება არ მოხერხდა, რადგან დაკავებისთანავე შხამი დალია და გარდაიცვალა. გერმან გერინგმა 1945 წლის 15 ოქტომბერს ჩამოხრჩობამდე ორი საათით ადრე, შხამით სავსე კაფსულა გადაყლაპა, რომელსაც კბილის პროთეში მალავდა. საზარელი იყო მესამე რაიხის პერიოდში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის იოზეფ გებელსისა და მისი ოჯახის აღსასრული. 1945 წლის 30 აპრილს გებელსის ცოლმა მაგდამ ქმრის თანხმობით, თავის ექვს შვილს სასიკვდილო ინექცია გაუკეთა. ამის შემდეგ იოზეფ გებელსმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯერ ცოლი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა.

8. ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961)

ამერიკელმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუეიმ სიცოცხლეშივე უდიდესი აღიარება მოიპოვა და ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა. მან ცხოვრების მანძილზე ოთხჯერ იქორწინა და უამრავი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე დეპრესიით, პარანოიით და ალკოჰოლიზმით იტანჯებოდა. ხშირად შემოქმედებით კრიზისს და პერფექციონიზმს განიცდიდა (პროგრესულად მზარდი მოთხოვნილებები საკუთარი თავის მიმართ, როცა შეცდომა და არასრულყოფილება უპატიებელი ხდება) სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მწერლის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამის მიზეზი აფრიკაში მომხდარი ავიაკატასტროფა გახდა, რომელსაც ჰემინგუეი



ცოცხალი გადაურჩა. მწერალი იძულებული გახდა, ელექტროშოკის მეთოდით, თავის ქალაზე მკურნალობა ჩაეტარებინა, რის შემდეგაც მეხსიერება და აზრის ჩამოყალიბებისა უნარი დაკარგა. „ექიმებმა არაფერი იციან მწერლების შესახებ.. რა აზრი აქვს ჩემი ტვინის განადგურებას და მეხსიერების წაშლას, რომელიც ჩემი მთავარი იარაღია და ამ ხერხით ჩემი საქმიდან ჩამოცილებას? მართალია, მკურნალობის მეთოდი შესანიშნავია, მაგრამ ჩვენ დავკარგეთ მთავარი — პაციენტი“ — წერდა ერნესტ ჰემინგუეი. მწერალმა 1961 წლის ივნისში საყვარელი იარაღიდან გასროლით სიცოცხლეს, რომელიც აღარაფრად უღირდა, წერტილი დაუსვა.

9. სერგო ორჯონიკიძე (1886-1937)

ის საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე იყო და სომხეთსა და საქართველოში საბჭო-

თა ხელისუფლების გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ. 1921 წლის 25 თებერვალს სწორედ მან უპატაკა ლენინსა და სტალინს — „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. საბჭოთა ხელისუფლებაში ის სტალინთან დაახლოებულ პირად მიაჩნდათ, თუმცა სწორედ სტალინთან კამათის შემდეგ, ორჯონიკიძე თავის კაბინეტში შევიდა და იარაღიდან გასროლით, თავი მოიკლა. არსებობს ვერსია, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, სტალინის ორგანიზებული მკვლელობა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ორჯონიკიძე უახლოესი პოლიტბიუროს სხდომაზე ძველი ბოლშევიკების განადგურების საქმეში სტალინის მხილებას აპირებდა, რაც სავარაუდოდ, სტალინს გაუგებარი არ დარჩებოდა..

10. ნადეჟდა ალილუევა (1901-1932), იაკობ ჯუღაშვილი (1907-1943)

თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე სტალინის მეორე ცოლმა ნადეჟდა ალილუევამ

და შვილმა იაკობ ჯუღაშვილმა. იმ დროს, კრემლში ვრცელდებოდა ხმები, რომ ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობა აიძულეს. ზოგი ამას სტალინს აბრალებდა, ზოგი კი სტალინის დაუძინებელ მტერს ლევ ტროცკის, რომელიც ალილუევას მანამდე იცნობდა, სანამ სტალინის ცოლი გახდებოდა. რომელი უფრო სანდო ვერსია, არავინ იცის, რადგან ნადეჟდა ალილუევას სიკვდილის საიდუმლოების ამოხსნას ისტორიკოსები ამჟამადაც ცდილობენ.

რაც შეეხება სტალინის შვილს, 1941 წლის 23 ივნისს, ანუ ომის დაწყების მეორე დღესვე, უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი ფრონტზე გაიწვიეს. 1941 წლის 16 ივლისს გერმანელებმა იაკობი ვიტებსკთან ახლოს, ტყვედ აიყვანეს. თავიდან ბავარიის სამხრეთში, ტყვეთა ბანაკში ჰყავდათ, შემდეგ კი განსაკუთრებული რეჟიმის ბანაკში გადაიყვანეს. გერმანელები იაკობის გენერალ პაულუსზე გაცვლას აპირებდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, რადგან სტალინმა გენერლის ჯარისკაცზე გაცვლაზე უარი თქვა. როცა დარწმუნდნენ, რომ მისგან ვერ იხეირებდნენ, გერმანელებმა იაკობს პოლონელი და სხვა ეროვნების ტყვეები

იმ იმედით დაუპირისპირეს, რომ ვინმე მოკლავდა, რაც პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოადგებოდათ. როგორც ჩანს, იაკობი ამას მიხვდა და სიცოცხლე ბანაკის გარშემო შემოვლებულ მავთულხლართებზე დაასრულა, რომელშიც დენი გადიოდა. იაკობ ჯუღაშვილის საფლავი დღემდე უცნობია.

(გაგრძელება იქნება)

ნინო მაისურაძე

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— მაინტერესებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგდგენთ სრულად:

მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება;

ბ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

დ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნების (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში — სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში — სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები)); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე;

ე) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

ზ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;

კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, თუ იგი განსხვავდება ამ ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან.

3. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს:

ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს (გამოიყენებენ) საქმიან ურთიერთობებში;

გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ — ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

* * *

— ჩემი შვილი და რძალი განქორწინდნენ. ამჟამად მათ შორის დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა. რა შეიძლება მოხდეს სამართლებრივად?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

პროცივილიზაციის ათი ყველაზე უცნაური ქვალი

სკეპტიკოსები იმაზე საუბრობენ, რომ წარსულში არასოდეს უარსებია ცივილიზაციებს, რომლებსაც განვითარებული ტექნოლოგიები ჰქონდათ და არაჩვეულებრივ ნაგებობებს აგებდნენ. ყოველ უცნაურ არტეფაქტსა და წარსულის ნაკვალევზე საკუთარი მოსაზრება აქვთ – ზოგიერთზე ამბობენ, ხომ ისინი ხელით არის გაკეთებული, ზოგიერთზე კი – ეს ბუნებრივი წარმონაქმნიაო... მაგრამ მოიპოვება უძველეს დროში განვითარებული ცივილიზაციების არსებობის დამადასტურებელი ისეთი ფაქტები, რომელთა უარყოფას თვით მტკიცე სკეპტიკოსებს და რაციონალურ მეცნიერებიც კი ვერ შეძლებენ...

საჰარასლინგის ქვა

საჰარასლინგის კომპლექსი

ეს არქეოლოგიური კომპლექსი მდინარე შალმალაზე მდებარეობს, ინდოეთში, კარნატაკას შტატში. როცა ზაფხული დგება და მდინარეში წყლის დონე იკლებს, აქ ათასობით პილიგრიმი მოდის სალოცავად.

წყლიდან იდუმალი ქვის ფიგურები მოჩანს, რომლებიც ძალიან დიდი ხნის წინათ არის გამოქანდაკებული. მაგალითად, აი, ეს საოცარი წარმონაქმნი. ვინმე შეეცდება იმის მტკიცებას, რომ ეს ხელით არის გაკეთებული?

ბარაბარის გამოქვაბულები

ბარაბარი გამოქვაბულების ჯგუფის გაერთიანებული დასახელებაა, რომლებიც ინდოეთის შტატ ბიხარშია განლაგებული ქალაქ გაის მახლობლად. ოფიციალურად ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეშია შექმნილი, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ხელით. ასეა თუ არა ეს, თავად განსაჯეთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ამგვარი ნაგებობის შექმნა ქვის მაგარი ჯიშებისგან – მაღალი ჭერით, გლუვი კედლებით და გადაბმებით, რომელთა შორის სამართებლის პირიც არ გაეტევა, ჩვენს დროში ძალიან რთული გახლავთ.

სამხრეთის ქვა ბაალბეკი

ბაალბეკი უძველესი ქალაქია, რომელიც ლიბანში მდებარეობს. აქ ბევრი ღირსშესანიშნაობა არსებობს. ყველაზე გამაოგნებელი იუპიტერის ტაძარია მრავალტონიანი მარმარილოს კოლონებითა და სამხრეთის ქვით, რომელიც კარგად გათლილ 1500-ტონიან ბლოკს წარმოადგენს.

ვინ და როგორ შექმნა ამგვარი მონოლითი უძველეს დროში და რა მიზნით – ამ კითხვებზე მეცნიერებას ჯერჯერობით პასუხები არ აქვს.

ბარაის წყალსაცავი

დასავლეთი ბარაი – ეს ხელოვნურად შექმნილი წყალსაცავია ანგკორში (კამბოჯა). წყალსაცავის ზომები 8კმX2,1კმ, სიღრმე კი 5 მეტრია. წყალსაცავი უძველეს დროშია შექმნილი. გაოცებას იწვევს წყალსაცავის საზღვრების სიზუსტე და შესრულებული სამუშაოების გრანდიოზულობა – ითვლება, რომ ის უძველესმა კხმერებმა ააგეს.

აქვე მდებარეობს არანაკლებ გასაოცარი სატაძრო კომპლექსები – ანგკორ ვატი და ანგკორ ტომი, რომელთა დაგეგმარება გაკვირვებას იწვევს თავისი სიზუსტით. თანამედროვე მეცნიერები ვერაფრით ხსნიან, რა ტექნოლოგიებით სარგებლობდნენ უძველესი მშენებლები.

ოლიანტაინტამბო

კუმბე-მაიოს აკვედუკი

კუმბე-მაიო პერუს ქალაქ კახამარკას მახლობლად მდებარეობს და ზღვის დონიდან 3,3 კმ-ზეა განლაგებული. აქ არის უძველესი აკვედუკის ნანგრევები, რომელიც აშკარად ხელით არის გაკეთებული. ცნობილია, რომ ის ინკების იმპერიის წარმოშობამდე ააგეს. საინტერესოა, რომ სახელწოდება კუმბე-მაიო კეჩუას ენიდან მომდინარეობს და „კარგად გაკეთებულ წყლის არხს“ ნიშნავს. უცნობია, რომელმა ცივილიზაციამ შექმნა ის, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მოხდა 1500 წელს.

აკვედუკი კომბე-მაიო სამხრე ამერიკაში ერთ-ერთ უძველეს ნაგებობად ითვლება. მისი სიგრძე დაახლოებით 10 კმ-ია. ამასთან, თუ უძველესი არხის გზაზე მშენებლებს კლდეები ხვდებიდათ, ისინი ამ კლდეებში გვირაბებს თხრიდნენ.

პერუს ქალაქები საქსაიუამანი და ოლიანტაინიამბო

ამ ორი ქალაქის ნანგრევები კუსკოს რეგიონში (პერუ), უზარმაზარი არქეოლოგიური პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს, რომლის ფართოპბი 5000 კვ. მეტრია. ითვლება, ეს ქალაქები ინკებმა ააგეს და ამისთვის ყველაზე პრიმიტიულ ინსტრუმენტებს იყენებდნენ. გაოცებას იწვევს ქვები, რომლისგანაც ციხესიმაგრეები იყო აგებული. ისინი ძალზე ახლოს არის ერთმანეთთან და გვერდები და კუთხეები იდეალურად სწორი და ზუსტია. თავად ინკებიც კი გაოცებულები იყვნენ ამ ნაგებობების სიდიადით. ინკების ისტორიის მკვლევარის გარსილასო დე ლა ვეგას თქმით: „ვერავინ დაიჯერებს, რომ ამხელა ქვებისგან რაიმეს აშენება შეიძლება, თუ საკუთარი თვალით არ ნახავს“.

მთვარის ქვა პერუში

აქვე, კუსკოს რეგიონში, იმავე არქეოლოგიურ პარკში მდებარეობს საინტერესო ღირსშესანიშნაობა – ქვა, სახელწოდებით კილარუმიოსი. რაც კეჩუას ინდიელების ენაზე „მთვარის ქვას“ ნიშნავს.

ითვლება, რომ ეს წმინდა ადგილია. აქ ჩამოდიან რიტუალების ჩასატარებლად, მედიტაციისა და სულის განწმენდისვის. ქვას უცნაურად სიმეტრიული ფორმა აქვს და ძალზე ხარისხიანად არის მოპირკეთებული.

ალ ნასლაას ქვა საუდის არაბეთში

ეს ცნობილი გაჭრილი ქვა, რომელსაც ალ ნასლაას უწოდებენ, ტაბუკის პროვინციაში, საუდის არაბეთში მდებარეობს. ყველა მკვლევარის გაკვირვებას იწვევს ქვისგაჭრის იდეალურად სწორი ხაზი – ორივე მხარეს ქვის ზედაპირი იდეალურად გლუვია. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ ეს ბუნების ქმნილებაა – ეს იდელური ხაზი ქარების შედეგიაო. მაგრამ ეს ვერსია არადამაჯერებელია – ბუნებაში ამგვარი წარმონაქმნების ანალოგი არ არსებობს.

ალ ნასლაას ქვა

ქვა იში-ონ-ჰოდენი

იაპონიის ქალაქ ტაკასაგოს მახლობლად მდებარეობს ცნობილი უდიდესი მეგალითი იში-ნოჰოდენი. მისი წონა დაახლოებით 600 ტონას შეადგენს. ცნობილია, რომ ის ჩვენს ერამდეა შექმნილი. ქვა ადგილობრივი ღირსშესანიშნაობაა და როდესაც მის ფოტოებსა და უძველეს ნახატებს უყურებ, ხვდები, რატომაა ის ასე პოპულარული.

მიკერინის პირამიდა

მიკერინის (ან მენკაურის) პირამიდა გიზაში მდებარეობს და დიადი პირამიდებიდან ერთ-ერთია. ამასთან, მათ შორის ყველაზე დაბალი პირამიდის სიმაღლე 66 მეტრს შეადგენს (ხეოფსის პირამიდაზე ორჯერ დაბალია). მაგრამ ჩვენს წარმოსახვაზე თავის მეზობელ სახელოვან პირამიდებზე ნაკლებად როდი მოქმედებს. პირამიდის ასაგებად გამოიყენებოდა უდიდესი მონოლითური ბლოკები, რომელთაგან თითოეულის წონა დაახლოებით 200 ტონა იყო. დღემდე გამოცანად რჩება, მშენებლობის ადგილამდე როგორ მიჰქონდათ ისინი. საოცარია ასევე ბლოკების შიდა და გარე მოპირკეთების ხარისხი, ასევე გვირაბებისა და შიდა კამერების დამუშავებაც.

ამ პირამიდაში XIX ს-ში აღმოაჩინეს იდუმალი ბაზალტის სარკოფაგი, რომლის გაგზავნაც დააპირეს ინგლისში, მაგრამ გზაში ხომალდი ქარიშხალში მოყვა და ესპანეთის სანაპიროსთან ჩაიძირა.

მიკერინის პირამიდა

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com